



# რეგულირებულ შეთანხმების სახელმძღვანელო

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი  
„მმართველობა განვითარებისათვის“

15 July 2019

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ ქონსალტინგი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

# რეგულირებული შეთანხმების სახელმძღვანელო

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი

„მმართველობა განვითარებისათვის“

კონტრაქტის ნომერი: AID-114-C-14-00007

„დელოიტ ქონსალტინგი“

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო | საქართველო

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საკონტრაქტო

ოფიცრის წარმომადგენელი: ფილიპ გრინი

ავტორი(ები): ნანა ამისულაშვილი, ქეთევან ბაშინურიძე

**AUTHOR(S): KETEVAN BASHINURIDZE, NANA AMISULASHVILI**

სამუშაო გეგმა: გადახდისუუნარობის რეფორმა, 2900

**WORK PLANNING: INSOLVENCY REFORM, 2900**

**LANGUAGE: GEORGIAN**

15 JULY 2019

## შენიშვნა:

ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „დელოიტ ქონსალტინგი“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას.

# მონაცემები

რედაქტორი:	თამარ ბუაძე
პროექტის კომპონენტი:	GoG Capacity Strengthening Component
სფერო:	გადახდისუნარობის რეფორმა
საკვანძო სიტყვები:	რეგულირებული შეთანხმება

## აკრონიმები

BBA	British Bankers Association
CVA	Company Voluntary Arrangement
ICAEW	Institute of Chartered Accountants in England and Wales
R3	Rescue, Recovery, Renewal
SIP	Statement of Insolvency Practice
SPI	Society of Practitioners of Insolvency

## სარჩევი

1. შესავა ..... ნანა ამისულაშვილი, ქეთევან ბაშინურიძე... 5
2. რეგულირებული შეთანხმების შექმნის ისტორია და რაციონალი .....ნანა ამისულაშვილი .... 6
3. რეგულირებული შეთანხმების ძირითადი პრინციპები.....ნანა ა ამისულაშვილი ... 12
4. რეგულირებული შეთანხმება გადახდისუნარიობის სხვა რეჟიმებისა და კორპორატიული რეორგანიზაციების ფონზე.....ქეთევან ბაშინურიძე... 14
5. რეგულირებული შეთანხმების არსი..... ქეთევან ბაშინურიძე.. 16
6. რეგულირებული შეთანხმების დადება და შესრულება ..... ქეთევან ბაშინურიძე .. 20
7. რეგულირებული შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლები და პრაქტიკა.....ქეთევან ბაშინურიძე..... 41
8. რეგულირებული შეთანხმების ნაკლოვანებები და უპირატესობები....ნანა ამისულაშვილი . 44
9. პრაქტიკული რეკომენდაციები .....ნანა ამისულაშვილი . 45

# შინაარსი

## 1. შესავალი

დღეისათვის, საერთაშორისო პრაქტიკაში გადახდისუუნარობის პროცესის მართვისთვის არსებული წესები მოიცავს მექანიზმებისა და პროცედურების ფართო სპექტრს, ეს შეიძლება იყოს კრიზისის საწყის ეტაპზე ადრეული ჩარევა მანამ, სანამ კომპანია სერიოზულ სირთულეებში აღმოჩნდება, დროული რესტრუქტურირება სიცოცხლისუნარიანი ბიზნესის გადარჩენის მიზნით, ქონების ლიკვიდაცია, როცა შეუძლებელია კომპანიის გადარჩენა და, ბოლოს, კეთილსინდისიერი მეწარმისათვის ახალი შანსის მიცემა ვალების ჩამოწერის (ვალების პატიების) სახით.

გამართულ და თანამედროვე გამოწვევებზე მორგებული გადახდისუუნარობის კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ყველა აღნიშნულ მექანიზმებს/პროცედურებს, წარმოადგენს ჯანსაღი ბიზნეს-გარემოს განმაპირობებელ არსებით საფუძველს, ვინაიდან ხელს უწყობს ვაჭრობასა და ინვესტირებას, ახალისებს სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებას, ეხმარება ეკონომიკას რათა ადვილად გადაიტანოს ეკონომიკური შოკები, რომელიც ქვეყანაში იწვევს ჭარბვალიანობასა და უმუშევრობას.

გადახდისუუნარობის სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადრეული ჩარევის მექანიზმებს, ვინაიდან, ბიზნესის კრიზისის პირველი ნიშნების გამოვლენის შემდეგ, რაც უფრო ადრეულ ეტაპზე მოხდება მოვალესა და კრედიტორებს შორის არსებულ მოცემულობათა გადახედვა და ანალიზი, კრედიტორთა დაკმაყოფილების მით უფრო მაღალი მაჩვენებელი მიიღწევა და, ამავე დროს, ბევრად მეტია შანსი იმისა, რომ ბიზნესმა თავი დააღწიოს კრიზისს და განაგრძოს ფუნქციონირება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამუშაო ჯგუფის მიერ 2016-2019 წლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად გადახდისუუნარობის რეფორმის ფარგლებში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც გადახდისუუნარობის სისტემას სრულიად ახლებურად მოაწესრიგებს. ერთ-ერთი მთავარი სიახლე არის, სწორედ, ქართულ კანონმდებლობაში ადრეული ჩარევის მექანიზმის - „რეგულირებული შეთანხმების“ შემოღება, რომელიც შემუშავდა ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის მიხედვით.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ინგლისისა და უელსის კანონმდებლობაში არსებული ადრეული ჩარევის მექანიზმის ისტორია, რაციონალი და პროცედურების დეტალური აღწერა, ასევე, ქართული კანონპროექტის ანალიზი და შედარება ინგლისურ მოდელთან. დოკუმენტი გამოკვეთს ამ სიახლის - ადრეული ჩარევის მექანიზმის - უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს, ხოლო დასკვნით ნაწილში მოცემულია პრაქტიკული რეკომენდაციები ინგლისის პრაქტიკაზე დაყრდნობით.

წინამდებარე ნაშრომში გადახდისუუნარობის საკითხებზე საკანონმდებლო პოლისისა და პრინციპების ამოსავალ საზომად გამოყენებულია ბიზნესისა და დაინტერესებული მხარეების მამოძრავებელი ბუნება. ის, რაც კომპანიას, მის პარტნიორებსა და კრედიტორებს ბუნებრივად აძლევს მოტივაციას და იწვევს მათ მოძრაობას განვითარებისკენ კონკრეტული ინტერესებითა და კანონზომიერებით (მოგებისა თუ სხვა კატეგორიის სიკეთის მიღების მიზანი), მიჩნეულია ბიზნესის მახასიათებელ ნაკადად, რომლის ბუნებრივ დინებასაც კანონი, ჩვენი ღრმა რწმენით, უნდა არეგულირებდეს და არა აბრკოლებდეს.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში ახალი მექანიზმის - რეგულირებული შეთანხმების ბუნება და შემადგენელი პროცედურები სწორედ ამ საზომისა და მეთოდის გამოყენებით არის წარმოდგენილი. პროცედურების თანმიმდევრობა უმთავრესად მიჰყვება ინგლისის ვერსიას, და ამასთან, შედარებით ანალიზს გვთავაზობს ქართული კანონპროექტის დღეს არსებულ ვერსიასთან.

უზუსტობის გამორიცხვის მიზნით, გვსურს აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც არ იკვეთება, თუ რომელი ქვეყნის მოდელს განეკუთვნება კონკრეტული ნაწილი, იგულისხმება, რომ განსახილველი ნაწილი იდენტურია ინგლისისა და ქართული კანონპროექტის ვერსიებში.<sup>1</sup>

## 2. რეგულირებული შეთანხმების შექმნის ისტორია და რაციონალი

ადრეული ჩარევის მექანიზმების ერთ-ერთი პირველი დახვეწილი საკანონმდებლო ვერსია შემოღებულ იქნა გაერთიანებულ სამეფოში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. მართალია სამეწარმეო კანონმდებლობაში მანამდეც არსებობდა პროცედურები, რომლებიც გამოიყენებოდა საწარმოს კრიზისის დროს მოვალის მიერ კრედიტორებთან შეთანხმების მისაღწევად, თუმცა, ეს პროცედურები შეუსაბამო იყო ისეთ სიტუაციაში, როცა საჭირო ხდებოდა გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი კომპანიის გადასარჩენად შეთანხმების დაჩქარებულ ვადებში მიღწევა.<sup>2</sup>

1977 წლის იანვარში გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შეიქმნა გადახდისუუნარობის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გადასინჯვის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სერ კენეთ კორკი. კომიტეტმა, ხუთ წლიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, 1982 წლისთვის მოამზადა მოხსენება, რომელიც კორკის მოხსენების სახელით არის ცნობილი. კორკის მოხსენება მოიცავდა გაერთიანებული სამეფოს გადახდისუუნარობის კანონმდებლობის მოდერნიზაციისა და რეფორმის შესახებ კვლევას და რეკომენდაციებს.

კომიტეტი თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა გაერთიანებული სამეფოს გადახდისუუნარობის მექანიზმის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მექანიზმს სათანადოდ უნდა უზრუნველყო გადახდისუუნარობის პროცესის უპირატესი მიზნების მიღწევა, კერძოდ, ერთის მხრივ, კრედიტორების (უფრო ფართოდ - საზოგადოების) და, მეორეს მხრივ, კრიზისში მყოფი მოვალის შესაბამისი ინტერესების დაბალანსება და უმაღლესი კომერციული მორალისა და ბიზნესის მთლიანობის შეძლებისდაგვარად მაღალი სტანდარტის შენარჩუნება.<sup>3</sup> კომიტეტის შეფასებით, იმ პერიოდში ხშირად ხდებოდა გადახდისუუნარობის მექანიზმის გამოყენება არასათანადო შემთხვევებისათვის, მათ შორის განსხვავებული ფაქტორებიდან გამომდინარე. კომიტეტის მიერ შეთავაზებულ იქნა ახალი, თანამედროვე პროცედურების შექმნა სწორედ ისეთი შემთხვევებისთვის, როცა გადახდისუუნარობა არ იყო სათანადო გამოსავალი. არსებული ფორმალური გადახდისუუნარობის პროცედურა დარჩებოდა უკიდურეს გამოსავლად უფრო რთული შემთხვევებისთვის, განსაკუთრებით ისეთებისთვის, რომელიც შეიცავდა თაღლითობის ნიშნებს, სადაც მოვალის ქმედებიდან ან საჯარო ინტერესიდან გამომდინარე საჭირო იქნებოდა

<sup>1</sup> შენიშვნა: ტექსტში ინგლისური მოდელის აღსანიშნავად გამოიყენება „კომპანიის ნებაყოფლობითი შეთანხმება“ ან ინგლისური აბრევიატურა CVA, ხოლო ტერმინი „რეგულირებული შეთანხმება“ ყოველთვის აღნიშნავს ქართულ მოდელს.

<sup>2</sup> Voluntary Arrangements, Edward Baily, LexisNexis Butterworths 2007. Pg.1.

<sup>3</sup> REPORTS OF COMMITTEES, Prof. Ian Fletcher - Modern law Review, Volume 44, Issue 1, January 1981

სრულყოფილი გამოძიება (გამოკვლევა) პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების გამოყენებასთან ერთად.

დასკვნის სახით, განხორციელებული სამუშაოს ანალიზის შედეგად, კომიტეტმა შეიმუშავა წინადადება, რომ ეფექტიანი გადახდისუნარობის პროცესის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის კანონმდებლობაში შემუშავებულიყო სრულიად ახლებური მექანიზმი - მოვალესა და კრედიტორს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების პროცედურა. ამ პროცედურით აღკვეთილი იქნებოდა შემთხვევები, როცა შეთანხმების მოწინააღმდეგე კრედიტორები ფორმალური გადახდისუნარობის პროცედურების დაწყებით ჩაშლიდნენ შესრულების პროცესში მყოფ შეთანხმებას. ახალი მექანიზმით სასამართლოს ენიჭებოდა უფლებამოსილება, გაეთვალისწინებინა კრედიტორთა უმრავლესობის ნება, თუ მოხდებოდა შეთანხმების შედადება. კომიტეტმა მიიჩნია, რომ სავალდებულო გადახდისუნარობის სისტემა უნდა ყოფილიყო მხოლოდ ისეთი შემთხვევებისთვის, როცა წინარე პროცედურები არ იქნებოდა ეფექტური. ამგვარად, გადახდისუნარობის მკაცრად განსაზღვრული წესები, სრულყოფილი გამოძიების ჩათვლით, შენარჩუნდებოდა განსაკუთრებით რთული საქმეებისთვის, სადაც იქნებოდა გონივრული ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა თაღლითობას ან სერიოზულ დარღვევებს.

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ მანამდე არსებული პროცედურები მიმართული იყო უფრო გადახდისუნარიან კომპანიების დახმარებისკენ, ხოლო ახალი პროცედურების მიზანს კი გადახდისუნარო კომპანიების მხარდაჭერა წარმოადგენდა.<sup>4</sup>

კორკის მოხსენება შეიცავდა წინადადებას ორი ახალი და გაუმჯობესებული პროცედურის შემოღების მიზანშეწონილობის თაობაზე:

ა) რეაბილიტაცია (administration)<sup>5</sup>, რომელიც გულისხმობდა შესაძლებლობას, რომ კრიზისში მყოფ კომპანიას ეთხოვა სასამართლოსთვის გარეშე ადმინისტრატორის დანიშვნა კომპანიის სამართავად, ბიზნესის გადარჩენის, მოქმედ ბიზნესად გაყიდვისა ან ქონების გაყიდვის განზრახვით, რათა მიეღო უკეთესი შედეგი კრედიტორებისათვის, ვიდრე ეს დადგებოდა კომპანიის ლიკვიდაციისას.

ბ) კომპანიის ნებაყოფლობითი შეთანხმება (company voluntary arrangement (CVA), რომელიც გულისხმობდა გადახდისუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის საფრთხის წინაშე მყოფი კომპანიის შესაძლებლობას შეთანხმებოდა კრედიტორების ნაწილს და პარტნიორებს/დამფუძნებლებს. ამ შეთანხმების საფუძველი იქნებოდა კრედიტორების მიერ დამტკიცებული დირექტორების შეთავაზება/წინადადება. კომპანია გააგრძელებდა საქმიანობას დირექტორებისა და ზედამხედველის კონტროლის ქვეშ. ამ პროცედურას ექნებოდა იგივე მიზანი, რაც რეაბილიტაციის პროცედურას, თუმცა, მის დასაწყებად აუცილებელი იქნებოდა სასამართლოს ნებართვა.<sup>6</sup> ამგვარად, გამოიკვეთა მარტივი პროცედურის დანერგვის საჭიროება, როდესაც კრედიტორთა უმრავლესობის გადაწყვეტილება ვალდებულებათა ახალი შეთანხმების შესახებ სავალდებულო გახდებოდა დარჩენილი უმცირესობისათვის.

კომიტეტის მიერ შეთავაზებული ორივე პროცედურა დანერგილ იქნა 1986 წლის გადახდისუნარობის აქტში და დეტალურად მოწესრიგებულ იქნა 1986 წლის

<sup>4</sup> Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.)

Cork, Kenneth, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 404,419

<sup>5</sup> შენიშვნა: ინგლისურ კანონმდებლობაში რეაბილიტაციის პროცედურას ჰქვია ადმინისტრირება და ქვეპროცედურების მრავალფეროვნებითა და მიზნებით გარკვეულწილად განსხვავდება ქართული რეაბილიტაციისაგან.

<sup>6</sup> House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL

<https://publications.parliament.uk/pa/cm199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>



გადახდისუუნარობის წესებში. უფრო ზუსტად, გადახდისუუნარობის აქტის 1–7 ნაწილი შეიცავს კომპანიის ნებაყოფლობითი შეთანხმების (CVA) პირველად საკანონმდებლო რეგულაციებს, ხოლო გადახდისუუნარობის წესების მე-2 ნაწილი შეიცავს შესაბამის მეორად საკანონმდებლო რეგულაციებს.<sup>7</sup>

საინტერესოა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გარკვეული დროის შემდეგ კომიტეტმა დაიწყო დაგროვილი პრაქტიკის შეფასების ფაზა; 1992 წლის ნოემბერში, სამეწარმეო სამართლის გადასინჯვის ფარგლებში, გადახდისუუნარობის სამსახურის<sup>8</sup> მიერ ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი გადახდისუუნარობის საკითხებზე იმის გამოსაკვლევად, თუ რატომ გამოიყენებოდა ასე იშვიათად კომპანიების გადარჩენის ახალი პროცედურები. სამუშაო ჯგუფმა მოახდინა ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება, მათ შორის:

- CVA-ს შემთხვევაში მორატორიუმის არარსებობა;
- CVA-ს მოლაპარაკებების დროს ახალი ფინანსების მოზიდვის სირთულე, რამაც შემდეგში წარმოშვა ახალი მსესხებლებისათვის უპირატესობების მინიჭების იდეა;
- უზრუნველყოფილი კრედიტორების (ძირითადად ბანკების) ოფიციალური აღმასრულებლის (administrative receiver) დანიშვნის უფლებამოსილება, საიდანაც წამოვიდა შეთავაზება, რომ მორატორიუმი უნდა ვრცელდებოდეს უზრუნველყოფილ კრედიტორებზე ისე რომ მათ ვერ დანიშნონ აღმასრულებელი და ასევე აღმასრულებლის დანიშვნის მოთხოვნამდე მოვალის 7 დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულება, ისე რომ დირექტორმა მოასწროს CVA-ს წამოწყება და ამით აღმასრულებლის დანიშვნის თავიდან აცილება;
- ბიზნესის გადარჩენის ახალი პროცედურების უგულებელყოფა დირექტორებისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების მხრიდან;
- დაგვიანებული მიმართვიანობა.

1999–2000 წლებში მოხდა საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და პარლამენტის ვაჭრობისა და ინდუსტრიის კომიტეტში ჩატარებული განხილვებისას კიდევ ერთხელ განხორციელდა იმ პერიოდისათვის არსებული სიტუაციის შეფასება.<sup>9</sup> განხილვებში მონაწილეობას იღებდნენ დაინტერესებული პირები, მათ შორის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საზოგადოება (Society of Practitioners of Insolvency – SPI), ბრიტანეთის ბანკირთა ასოციაცია (British Bankers Association – BBA), ინგლისისა და უელსის ლიცენზირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (Institute of Chartered Accountants in England and Wales - ICAEW), გადახდისუუნარობის სამსახური, სამართლის საზოგადოება (Law Society), ბრიტანეთის ინდუსტრიის კონფედერაცია (Confederation of British Industry), ასევე, ინდივიდუალურად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები, ბანკირები, ადვოკატები, ექსპერტები.

განხილვების შედეგად მიღებულ მეორე მოხსენებაში ხაზი გაესვა მზაობას ნებაყოფლობითი მორატორიუმის დასაწესებლად, რათა გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი კომპანიის დირექტორებს ჰქონოდათ მცირე ამოსუნთქვის დრო პირველადი შეთავაზების შემუშავებისათვის და პრაქტიკოსთა შესათანხმებლად, რათა მას შეეფასებინა შეთავაზების გონივრულობა და მოეწვია კრედიტორთა კრება. ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიას უნდა შეძლებოდა ბიზნეს საქმიანობის გაგრძელება კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნებით დაწესებული

<sup>7</sup> Company Voluntary Arrangements: Evaluating Success and Failure, Professor Peter Walton, Chris Umfreville, Dr Lézelle Jacobs, Commissioned by R3, the insolvency and restructuring trade body, and sponsored by ICAEW, May 2018

<sup>8</sup> გაერთიანებული სამეფოს აღმასრულებელი სააგენტო (ავტ. შენიშ.)

<sup>9</sup> House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL <https://publications.parliament.uk/pa/cm199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>

გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში. მეორე მოხსენების დასრულებამდე წარმოებული კონსულტაციებისა და ფართო კონსენსუსის საფუძველზე მიჩნეულ იქნა, რომ ამგვარი მორატორიუმი იქნებოდა ძალიან სასარგებლო.

მიუხედავად იმისა, რომ კორკის კომიტეტის მუშაობის პერიოდისათვის კომპანიების გადახდისუუნარობის პროცედურების უდიდესი უმრავლესობას ისევ ლიკვიდაცია ან აღსრულება წარმოადგენდა, ყოველ წლიურად უკვე 500-მდე CVA-ს პროცედურის დაწყება ფიქსირდებოდა. წამოწყებული CVA-ს პროცედურათა უმრავლესობა იყო არა კომპანიის გადარჩენაზე ორიენტირებული, არამედ აშკარად „განაწილებითი“ ხასიათის, როცა CVA-ს სტრუქტურა გამოიყენებოდა როგორც კრედიტორთათვის ქონების განაწილების უფრო იაფი ან მოხერხებული საშუალება, ვიდრე ლიკვიდაცია იგივე შედეგებით.

პარლამენტისთვის წარდგენილ მოსაზრებაში გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა საზოგადოებამ (Society of Practitioners of Insolvency – SPI) ხაზი გაუსვა იმას, რომ იმ დროისათვის არსებული ეკონომიკური გარემოებების გათვალისწინებით CVA შესაფერისი იქნებოდა მხოლოდ კომპანიების მცირე რაოდენობისათვის. ბრიტანეთის ბანკირთა ასოციაციის (British Bankers Association – BBA) აზრით განხილული CVA-ს პროცედურების ნაწილი იყო ცუდად დაგეგმილი და შეიძლება მიჩნეულიყო უფრო პრაქტიკოსების მცდელობად, მიეღოთ ანაზღაურება. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორებისათვის არსებობდა იდეალური მიზეზები, რათა არ დათანხმებულიყვნენ შეთავაზებაზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ მორატორიუმის არსებობა მხოლოდ ერთ-ერთი იყო ბარიერებიდან და რეალურად ფინანსების ნაკლებობა იყო ყველაზე დიდი პრობლემა. საპარლამენტო განხილვებში მიწვეულმა პროფესორმა ჯულიან ფრენკსმა პარლამენტის წევრის კითხვაზე, თუ რატომ იყო მაინც ასე ცოტა CVA-ს შემთხვევა, სწორედ ახალი ფინანსების მოძიების სირთულე დაასახელა მიზეზად. მან აღნიშნა, რომ დაფინანსება იყო ძალიან მნიშვნელოვანი და მოიყვანა ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითი, სადაც გავრცელებული იყო დაფინანსების სხვადასხვა ფორმები (მაღალრისკიანი დაფინანსება Dead Financing, მართვაში მყოფი მოვალის დაფინანსება DIP Financing, დაფინანსება სუპერ პრიორიტეტის მინიჭებით super priority financing) და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოვალის ქონება მთლიანად უზრუნველყოფის ქვეშ იყო მოქცეული, მოსამართლეს ჰქონდა დისკრეცია, ახალი დაფინანსებიდან წარმოშობილი მოთხოვნა დაეყენებინა ყველა მოთხოვნაზე მაღლა.

მეორე მოხსენებით გამოიკვეთა არა ქონების განაწილების, არამედ ბიზნესის გადარჩენის იდეის მნიშვნელობა და მორატორიუმის საჭიროება<sup>10</sup>, ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებები განიხილებოდა „ბიზნესის გადარჩენის“ სტიმულირების მცდელობად, რომელიც შეავსებდა 1986 წლის კანონში არსებულ სიცარიელეებს. მოხსენებაში განსაკუთრებულად იყო აღნიშნული, რომ ბოლო წლებში „ბიზნესის გადარჩენის კულტურამ“ გაცილებით უფრო მოიკიდა ფეხი. იმ ბანკებში, სადაც შემოსავალს იღებდნენ მოქმედი ბიზნესებიდან, „ბიზნესის გადარჩენის კულტურას“ ფინანსური თვალსაზრისით უფრო კარგი საფუძველი გაუჩნდა ვიდრე გაკოტრება/ლიკვიდაციას.

მორატორიუმის შემოღებაზე, დასკვნის სახით, მეორე მოხსენებაში ვკითხულობთ: „ამ დრომდე გამართული კონსულტაციების შედეგად წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებულია ფართო კონსენსუსი, რომ შემოთავაზებული მორატორიუმი იქნება

<sup>10</sup> House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL, MORATORIUM <https://publications.parliament.uk/pa/cm199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>

სასარგებლო, თუმცა ეს არ არის პანაცეა კრიზისში მყოფი კომპანიებისთვის. ბევრი მათგანისთვის CVA არის სრულიად შეუსაბამო.<sup>11</sup>

საბოლოოდ, 2003 წელს, გადახდისუნარობის 1986 წლის აქტში შევიდა ცვლილებები<sup>12</sup>, რომლებიც მნიშვნელოვან სქემას ქმნიან, კერძოდ:

1. CVA-ს პროცედურაში დადგინდა მორატორიუმი, თუმცა მხოლოდ მცირე ბიზნესისთვის. მორატორიუმი მიიღწევა განცხადების ძალით და არის ნებაყოფლობითი ქმედება ბიზნესის მხრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ დირექტორის განცხადების სასამართლოში შესვლის ფაქტით მორატორიუმი ავტომატურად შედის ძალაში.
2. გეგმა სავალდებულოა იმ კრედიტორებისთვისაც, ვისაც არ გაეგზავნა შეტყობინება. თუმცა ასეთი კრედიტორების ინტერესები დაცულია ორი გზით: ა) კრედიტორს შეუძლია გეგმის გასაჩივრება ამის შესახებ შეტყობიდან 28 დღეში (იგივე ვადა აქვთ კრებაში მონაწილე კრედიტორებსაც) და ბ) ასეთი კრედიტორის მიმართ იგივენაირად ხდება გადახდები, როგორც ეს მოხდებოდა, თუკი იგი თავიდანვე მიიღებდა კრებაში მონაწილეობას. თუ გეგმის შედგენისას დირექტორი განზრახ გამოტოვებს კრედიტორს, იგი შესაძლებელია ამისათვის პერსონალურად იყოს პასუხისმგებელი, თუმცა ეს არ შედის გადახდისუნარობის სამართლის სფეროში.
3. ზედამხედველობის კანდიდატმა სასამართლოსადმი თავის განცხადებაში უნდა დაასაბუთოს, რომ მის მიერ შეთავაზებულ გეგმას აქვს გონივრული პერსპექტივა.
4. სავალდებულო აღარაა მოვალის პარტნიორებისა და კრედიტორთა კრების ერთად ჩატარება, ხოლო კრედიტორთა უმრავლესობის გადაწყვეტილება არის უპირატესი.

მცირე ბიზნესის, წარმოებისა და დასაქმების შესახებ გაერთიანებული სამეფოს 2015 წლის აქტით კვლავ იქნა შეტანილი რიგი ცვლილებებისა CVA-ს პროცედურებში, საიდანაც უმთავრესი ცვლილებებია:

- რიგ შემთხვევებში კრების ჩატარების სავალდებულო წესის გაუქმება. გადახდისუნარობაში წითელი ლენტის გამოწვევამ<sup>13</sup> მოახდინა იმ ღონისძიებების იდენტიფიცირება, რაც საჭირო იყო გადახდისუნარობის პროცესის ეფექტურობის გასაზრდელად, ადმინისტრაციული ხარჯების შესამცირებლად და უფრო მაღალი ამოღების მაჩვენებლის მისაღწევად. სწორედ ამის შედეგად მოიხსნა ყველა შემთხვევისას კრების ფიზიკურად ჩატარების მოთხოვნა;
- თანხმობის მიღებულად ჩათვლის ახალი პროცედურა. კერძოდ, მმართველს შეუძლია დაუგზავნოს შეთავაზება კრედიტორებს და წინადადება მოწონებულად ითვლება იმ კრედიტორების მიერ, რომელთა მხრიდანაც უშუალოდ არ მომხდარა მიღებული შეთავაზების უარყოფა;
- კრედიტორებს შეუძლიათ, უარი თქვან მმართველის მხრიდან გარკვეული შეტყობინებების მიღებაზე;

<sup>11</sup> House of Commons, Trade and Industry Committee, Second Report DRAFT INSOLVENCY BILL, SUMMARY OF CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS <https://publications.parliament.uk/pa/cm199900/cmselect/cmtrdind/112/11202.htm>

<sup>12</sup> Voluntary Arrangements, Edward Bailly, LexisNexis Butterworths 2007. Pg.2-6.

<sup>13</sup> გაერთიანებული სამეფოს მთავრობის პროექტი „წითელი ლენტის გამოწვევა“, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ჩართულობას არასასურველი რეგულაციების შემცირებაში. <https://www.gov.uk/government/news/red-tape-challenge>

- 1000 ფუნტამდე მოთხოვნის მქონე კრედიტორებს აღარ აქვთ ვალდებულება დაასაბუთონ თავისი მოთხოვნის საფუძვლები.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორკის მოხსენებიდან მოყოლებული გაერთიანებული სამეფო მუდმივად ცდილობს დახვეწოს CVA-ს სტრუქტურა, ვინაიდან ამას, როგორც ბიზნესის გადასარჩენად ჩარევის ადრეულ მექანიზმს განსაკუთრებული როლი ენიჭება ეკონომიკაში. ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ რამდენჯერმე გაიმართა კონსულტაციები უფრო ფართო მორატორიუმის შემოღების მიზანშეწონილობაზე, რომელიც იმოქმედებდა საშუალო და მსხვილ ბიზნესის გადახდისუუნარობის რისკის შემთხვევებშიც. შემდგომი რეფორმირებისათვის ეს ძიებები მოხსენებულია დიდი ბრიტანეთის პარლამენტის 2018 წლის 31 მაისის მიმოხილვაში<sup>14</sup>, კერძოდ: მორატორიუმის გაფართოებაზე რეკომენდაცია გაკეთდა 2009 წლის ივნისში და 2010 წლის ივლისში გადახდისუუნარობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ საკონსულტაციო დოკუმენტში, ხოლო 2018 წელს ბიზნესის რეაბილიტაციის პროფესიონალთა ასოციაციის R3-ის<sup>15</sup> კვლევაში<sup>16</sup> (კვლევა განხორციელდა ICAEW-ს მხარდაჭერით).

უფრო კონკრეტულად, 2018 წლის კვლევის მიხედვით გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობისთვის შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- CVA არ უნდა გრძელდებოდეს 3 წელზე მეტ ხანს სათანადოდ მყარი საფუძვლის გარეშე;
- დირექტორების ვალდებულებები უნდა იყოს გაწერილი უფრო მკაფიოდ და სრულყოფილად, და მოიცავდეს კრიზისულ სიტუაციაში ადრეული მიმართვის ვალდებულებას;
- ნომინირებული და დანიშნული ზედამხედველების როლი და ვალდებულებები უფრო მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა გაიწეროს გადახდისუუნარობის პრაქტიკის (საქმის წარმოების) დადგენილებაში (Statement of Insolvency Practice (“SIP”));
- საჯარო სექტორის კრედიტორებს უნდა ევალუბოდეთ თავისი პოზიციის დასაბუთება თუ არ უჭერენ მხარს CVA-ს შეთავაზებას;
- შემოღებულ უნდა იქნას გადახდისუუნარობამდე მორატორიუმის ახალი ფორმა;
- მცირე კომპანიებისთვის მაინც ხელმისაწვდომი უნდა იყოს CVA სტანდარტული პირობებით და დამტკიცების შემთხვევაში კრედიტორთა გარკვეულმა კლასებმა უნდა დაასაბუთონ პოზიცია, თუკი არ უჭერენ მას მხარს;
- შეფასდეს გადახდისუუნარობის სხვა პროცედურებში არსებული პრაქტიკოსების ანაზღაურების სისტემის CVA-ში გამოყენების მიზანშეწონილობა;
- CVA-თან დაკავშირებით სამეწარმეო რეესტრში (Companies House) წარდგენილი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს უფრო მეტ ინფორმაციას, რათა გაზარდოს გამჭვირვალობა და უზრუნველყოს ნდობის წარმოშობა.<sup>17</sup>

<sup>14</sup> <https://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN06944#fullreport>

<sup>15</sup> R3 (rescue, recovery, renewal) არის პროფესიული ასოციაცია დიდ ბრიტანეთში მოქმედი გადახდისუუნარობის, რესტრუქტურის, საკონსულტაციო პროფესიონალებისათვის, სადაც გაერთიანებულია გადახდისუუნარობის პრაქტიკოსები, ადვოკატები, ექსპერტები, სტუდენტები და სხვა ამ პროფესიაში ჩართული პირები.

<sup>16</sup> [https://www.r3.org.uk/media/documents/policy/policy\\_papers/corporate\\_insolvency/R3\\_ICAEW\\_CVA\\_Report\\_May\\_2018.pdf](https://www.r3.org.uk/media/documents/policy/policy_papers/corporate_insolvency/R3_ICAEW_CVA_Report_May_2018.pdf)

<sup>17</sup> Company Voluntary Arrangements: Evaluating Success and Failure, Professor Peter Walton,

Chris Umfreville, Dr Lézelle Jacobs, Commissioned by R3, the insolvency and restructuring trade body, and sponsored by ICAEW, May 2018



როგორც 2018 წლის R3-ის კვლევის ავტორი პროფესორი პიტერ ვალტონი კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნავს, ფინანსურ სირთულეში მყოფი კომპანიების საქმის წარმოებისას კანონი და პრაქტიკა უნდა ესწრაფვოდეს, ერთის მხრივ, კრედიტორების უფლებებსა და, მეორეს მხრივ, სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს შორის ბალანსისკენ, რათამიღწეულ იქნას ღირებული ბიზნესების გადარჩენა სამართლიან და გამჭვირვალე გარემოებებში. ყველა კომპანიას არ შეუძლია გადარჩენა, თუმცა როცა ეს შესაძლებლობა ჩნდება, პროცესი უნდა წარიმართოს იმდენად ეფექტურად და დროულად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.<sup>18</sup>

### 3. რეგულირებული შეთანხმების ძირითადი პრინციპები

ინგლისის კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით CVA-ს აქვს რამდენიმე საყრდენი პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ მუშაობასა და უმეტეს შემთხვევაში, დასახული შედეგის დადგომას.

#### 3.1. მოქნილობა

აღნიშნული პროცედურის მოქნილობას უზრუნველყოფს ერთდროულად რამდენიმე მექანიზმი:

- არ არის აუცილებელი შეთანხმება მოიცავდეს მთელ ქონებას, ვინაიდან ეს არის წმინდად ნებაყოფლობითი აქტი.<sup>19</sup> აღნიშნული მიდგომა აძლევს დირექტორებს თავისუფლებას, შეცვალონ ქონების და ინტერესების პრიორიტეტების სქემა უკეთესი შედეგის მისაღწევად. გადახდისუუნარობის ფორმალური პროცედურებისგან განსხვავებით, სადაც მოვალის მთლიანი ქონებისგან იქმნება გადახდისუუნარობის ქონება და მასზე მყარდება მმართველის და კრედიტორთა კონტროლი, CVA-ში ქონება და მასზე კონტროლი რჩება უცვლელი. ასეთი რეჟიმის შეთავაზება უნდა იყოს ბიზნესებისთვის ადრეული მიმართვიანობის მოტივაცია;
- კორკის მოხსენების მიხედვით შესაძლებელია ყველა კრედიტორი არც ყოფილიყო ჩართული (თუმცა ამავე დროს რჩებოდა რეალური საფრთხეები იმ კრედიტორების მხრიდან, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი) ამ საკითხთან დაკავშირებით კორკის მოხსენება უთითებს, რომ მოვალემ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მმართველს, თუ რატომ არ არის კრედიტორების ნაწილი ჩართული<sup>20</sup>, ასევე, რომ შეთავაზება უნდა გაეგზავნოთ იმ კრედიტორებს, რომლებიც აპირებენ მონაწილეობის მიღებას<sup>21</sup>, ასევე მოიხსენება ჩამოთვლილი კრედიტორების კრება;<sup>22</sup>
- არ მოქმედებს პარი პასუს პრინციპი - კორკის მოხსენება ამბობს რომ შემოთავაზებული სისტემა არის უფრო მოქნილი შეთავაზების წარდგენისა და დამტკიცების თვალსაზრისით და ამის მაგალითად მოჰყავს პარი პასუსგან განსხვავებული განაწილების პრინციპის გამოყენების შესაძლებლობა. ასეთი მოქნილობის არ არსებობის შემთხვევაში.

<sup>18</sup> “CVAs reforms needed, says insolvency and restructuring profession”, R3 press notice, 29 May 2018 [online] (accessed 31 May 2018)

<sup>19</sup> Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.)  
Cork, Kenneth, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, paras 146, 372

<sup>20</sup> Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.)  
Cork, Kenneth, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 373

<sup>21</sup> Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.)  
Cork, Kenneth, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 375-ე

<sup>22</sup> Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.)  
Cork, Kenneth, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. (429 (c))

კრედიტორები დაკარგავენ მესამე პირებისგან თანხის ან გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ მოვალის მიერ შეძენილი ქონების მიღების შესახებ დებულებების უპირატესობებს.

### 3.2. სამართლიანობა

- შეთანხმების დამტკიცების სქემით ხდება კრედიტორების ინტერესების დაცვა. შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ კრედიტორთა კრების 75%-ზე მეტი, რომელშიც ამავდროულად უნდა შედიოდეს კომპანიასთან არადაკავშირებული კრედიტორების 50%-ზე მეტი ხმა, დაამტკიცებს შეთავაზებას. ასევე პარალელურად უნდა მოხდეს პარტნიორთა კრების ჩატარება, სადაც 50%-ზე მეტი ხმა ამტკიცებს შეთანხმებას, თუმცა, პარტნიორთა კრების მიერ შეთავაზების ჩაგდება ხელს არ უშლის შეთანხმების დამტკიცებას მხოლოდ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების ძალით;
- იმ 25% კრედიტორებისათვის, რომელთაც შეთავაზების წინააღმდეგ მისცეს ხმა და მიუხედავად ამისა მათთვის შეთანხმება გახდა სავალდებულო, არსებობს გასაჩივრების უფლება. გასაჩივრების საფუძვლებია: ა) გადაწყვეტილება რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების შესახებ გაუმართლებელ ზიანს აყენებს მოვალის კრედიტორს ან პარტნიორს; ან ბ) კრება ჩატარდა არსებითი დარღვევით.

### 3.3. გაკოტრების მინიმუმი პრაქტიკაში

CVA-ს პროცედურაში ოფიციალურად, კანონისმიერი დანაწესით სავალდებულო არაა გაკოტრების მინიმუმის პრინციპის დაცვა. თუმცა შეთავაზების დამაჯერებლობისათვის ხშირად გვხვდება რეკომენდაცია, რომ ნაჩვენები იყოს გაკოტრების მინიმუმი. მაგალითად კორკის მოხსენებაში ნათქვამია, რომ მთლიანი კრედიტორებისთვის შეთავაზება მინიმუმ ისეთივე ხელსაყრელი უნდა იყოს (სასარგებლო) როგორც ეს იქნებოდა ფორმალურ გადახდისუუნარობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების საფუძვლები და უფლებამოსილება რომ მოითხოვოს გადახდისუუნარობის დაწყება სასამართლოში.<sup>23</sup> ასევე ედვარდ ბეილი შეთავაზების შინაარსის განხილვისას აღნიშნავს, რომ შეთავაზების მიმზიდველობას ხშირად შესაძლოა ხაზი გაუსვას კრედიტორთა მიერ შეთავაზებით მისაღები თანხებისა და სხვა შემთხვევაში (რეაბილიტაციის, გაკოტრების) მისაღები თანხების შედარებამ.<sup>24</sup>

გაკოტრების მინიმუმის პრინციპს სხვანაირად უწოდებენ კრედიტორთა საუკეთესო ინტერესის ტესტს. ხშირად ამას კოდიფიცირებული სახე აქვს, მაგალითად აშშ-ს გადახდისუუნარობის კოდექსის 1129(a)(7) პარაგრაფის, თანახმად, თითოეულმა მოთხოვნის მფლობელმა გეგმის მიხედვით უნდა მიიღოს გეგმის ძალაში შესვლის დღისთვის იმაზე არანაკლები, რასაც მიიღებდა ამავე თარიღით გაკოტრება რომ მომხდარიყო. ეს არის სწორედ საუკეთესო ინტერესის ტესტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რომ რეაბილიტაცია უფრო სასარგებლო იყოს კრედიტორებისათვის ვიდრე მოვალის გაკოტრება და ამოშლა სამეწარმეო რეესტრიდან. ყველაზე მეტად კი გაკოტრების მინიმუმი უზრუნველყოფს იმ კრედიტორების დაცვას, რომელთაც ხმა არ მიუციათ გეგმისთვის.<sup>25</sup> ყველაზე ეფექტურად გაკოტრების მინიმუმის პრინციპი მიიჩნევა, როცა გამოთვლა ხდება წმინდა მიმდინარე ღირებულების ფორმულის მიხედვით. წმინდა მიმდინარე ღირებულება არის მიმდინარე (გამოთვლის დრო) ფულადი შემოსავლების ღირებულებისა და

<sup>23</sup> Insolvency Law and Practice: [Final Report]: Report of the Review Committee (Cmnd.) Cork, Kenneth, Stationery Office Books, 9 Jun. 1982, para. 364(4).

<sup>24</sup> Edward Bailly, Voluntary Arrangements, LexisNexis Butterworths 2007. Pg.37.

<sup>25</sup> UNCITRAL Legislative Guide on Insolvency Law, United Nation Publication Sales No. E.05.V.10 ISBN 92-1-133736-4, New York 2005, pg. 218

მიმდინარე ფულადი გასავლების ღირებულების სხვაობა გარკვეული დროის განმავლობაში, უფრო მარტივად კი ხდება გადავადებული შემოსავლის მიმდინარე ღირებულების დადგენა. ამ პრინციპის გამოყენება აუცილებელია გაკოტრების მინიმუმის დადგენისას, რადგან თუ ჩვენ დღეს უარს ვამბობთ მოვალის გაკოტრებაზე იმ პირობით, რომ უფრო მეტი უნდა მივიღოთ ერთი წლის შემდეგ, მაშინ მისაღები შემოსავლის შეფასებაში ამ ერთი წლის ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული.

## 4. რეგულირებული შეთანხმება გადახდისუუნარობის სხვა რეჟიმებისა და კორპორატიული რეორგანიზაციების ფონზე

გადახდისუუნარობის სხვადასხვა რეჟიმებში, ძირითადად, მსგავსი კატეგორიის მონაწილე პირები, ინტერესთა ჭიდილი და თამაშის წესები გვხვდება. სპეციფიური განსხვავებები, უმთავრესად, რეჟიმის მიზნობრიობიდან გამომდინარეობს. რეაბილიტაცია, გაკოტრება და რეგულირებული შეთანხმება ახალი კანონპროექტით შემოთავაზებული ალტერნატიული რეჟიმებია, სადაც მოვალე, კრედიტორები, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი და სასამართლო მოქცეულნი არიან დამაბულობის ველში, რათა მოვალის არასაკმარის აქტივებზე ლეგიტიმურად მიაქციონ კრედიტორთა აკუმულირებული მოთხოვნები. რეაბილიტაციასა და რეგულირებულ შეთანხმებაში, ამ საბაზისო ინტერესს ემატება ბიზნესის გადარჩენის საჯარო ინტერესიც, რაც, თავის მხრივ, აკვალიფიცირებს თამაშის წესებს რეჟიმების ბუნების მიხედვით.

ნებისმიერ შემთხვევაში, სამივე რეჟიმისთვის სავალდებულოა კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების უპირატესობის პრინციპი მოვალის ბიზნეს ინტერესებთან შედარებით. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ რეაბილიტაციისა და რეგულირებული შეთანხმების რეჟიმებში საკანონმდებლო პოლისი ბიზნესის გადარჩენას არალეგიტიმურად მიიჩნევს, თუკი კრედიტორებს გაკოტრების რეჟიმში გასანაწილებელ მინიმუმზე (შემდგომში 'გაკოტრების მინიმუმი') ნაკლებს შესთავაზებენ. ამდენად, მხოლოდ არაფორმალური მოლაპარაკებების დროს (ფორმალური რეჟიმების გარეთ) არის შესაძლებელი, ყველა შესაბამისი კრედიტორის თანხმობით, გაკოტრების მინიმუმზე ნაკლებზე შეთანხმება ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. ასეთ დროს, კანონისმიერ მორატორიუმს ანაცვლებს ყველა კრედიტორის შეთანხმება, არ წამოიწყონ ინდივიდუალური აღსრულების ღონისძიებები (კონსენსუალური მორატორიუმი. ე.წ. standstill) მოლაპარაკებების პერიოდზე.

თავად ფორმალურ რეჟიმებში საკანონმდებლო პოლისის ჩარევის მასშტაბიც რეჟიმის ბუნებაზე დამოკიდებულია. მაგალითად, გაკოტრებაში, კრედიტორთა დაკმაყოფილების საკითხებზე მონაწილე პირთა ნებელობა სრულად ჩანაცვლებულია კანონისმიერი წესრიგით (გარდა გაკოტრების მმართველის შეცვლის საკითხისა); ამდენად, ქონება დაითვლება, შემოიკრიბება და ნაწილდება კანონისმიერი ფორმულით, რაც უმარტივეს საქმეს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსსაც და სასამართლოსაც. ამის საპირისპიროდ, რეაბილიტაციისა და რეგულირებული შეთანხმების წარმატების პერსპექტივა (სიცოცხლისუნარიანი გეგმის დამტკიცება) მონაწილე პირთა ეფექტურ ნების გამოვლენაზე დამოკიდებულია, თუმცა, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებთან გარკვეული კომპრომისის ხარჯზე<sup>26</sup>. კერძოდ, ფორმალური რეჟიმისთვის

<sup>26</sup> Geoffrey M Wesigard, Michael Griffiths, *Company Voluntary Arrangements and Administrations* (Third Edition, 2013, Bristol, UK.) გვ.5

დამახასიათებელი გარანტიების საპირწონედ, კრედიტორთა კანონისმიერ უმრავლესობას შეუძლია სამართლებრივად შებოჭოს უმცირესობაში დარჩენილი მოწინააღმდეგე კრედიტორებიც. ე.ი. რომ არა გადახდისუუნარობის ფორმალური რეჟიმი, მოვალესა და კრედიტორებს შორის ნებისმიერი შეთანხმება ვალის რესტრუქტურისაზე მხოლოდ ყველა კრედიტორის თანხმობით იქნებოდა შესაძლებელი, მაშინ, როცა გადახდისუუნარობის ფორმალურ რეჟიმებში, კრედიტორთა უმრავლესობით მიღებული გეგმები სავალდებულო ხდება ყველა კრედიტორისთვის, მიუხედავად მათი ინდივიდუალური პოზიციისა.

როგორც ზემოთაღნიშნა, რეგულირებული შეთანხმება სწორედ ასეთი ხელშეკრულებაა, სადაც კრედიტორთა 75%-ს (ინგლისში 75%-ზე მეტს) შეუძლია სამართლებრივად შებოჭოს მოწინააღმდეგე 25% და ამგვარად გადაწყვიტოს, თუ თითოეული ლარის სანაცვლოდ რამდენი თეთრი უნდა მიიღოს 25%-ის შესაბამისმა კრედიტორებმა (ინგლისისა და უელსის სამართლებრივ სისტემაში CVA-ს შემოღებამდე, მსგავსი ფორმალური რესტრუქტურის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ 'კომპანიების შესახებ' (Companies Act) კანონით გათვალისწინებული კომპრომისული ან რეორგანიზაციის გეგმებით. გადახდისუუნარობის სპეციალური კანონი (Insolvency Act) მსგავს გეგმებს არ იცნობდა 1986 წლამდე, ხოლო 'მეწარმეთა შესახებ' კანონის ინგლისური ანალოგია (Companies Acts 1985 და 2006) ზემოხსენებული გეგმების ერთ-ერთ მიზნად ისახავდა არა ფინანსური სიძნელეების მქონე ბიზნესის გადარჩენას (rescue policy), არამედ ვალის რესტრუქტურის რეგულირებას კომპანიის საწესდებო კაპიტალის რეორგანიზაციის დომინანტური მიზნის ფარგლებში. კანონის ტექსტში რეორგანიზაცია განიმარტება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალის რეორგანიზაცია, რომელზეც კომპანია უთანხმდება პარტნიორებს ან/და კრედიტორებს.

'მეწარმეთა შესახებ' საქართველოს კანონისგან განსხვავებით, ინგლისური კომპანიების კანონის (1985) კომპრომისულ და რეორგანიზაციის გეგმებში, კრედიტორთა 3/4-ის თანხმობა საკმარისი იყო ყველა კრედიტორის სამართლებრივად შებოჭვისთვის ვალის შემცირების საკითხებზე, თუმცა კრედიტორის ხმის უფლება ითვლებოდა არამხოლოდ ფულადი მოთხოვნების, არამედ, აგრეთვე, კრედიტორთა რაოდენობის მიხედვით. ამასთან, სხვადასხვა კლასის კრედიტორები თავიანთ კლასებში იღებდნენ გადაწყვეტილებებს. რაც მთავარია, 'კომპანიების შესახებ' კანონით გათვალისწინებულ რეორგანიზაციის გეგმებზე დღემდე (2006 წლის ახალ ვერსიაშიც) არ ვრცელდება კანონისმიერი მორატორიუმი, რაც ართულებს და აძვირებს წარმატებული მოლაპარაკების შანსებს. მთლიანობაში, პროცედურა იმდენად რთულად მისაღწევი იყო, რომ ბიზნესის გადარჩენის მიზნის არარსებობის პირობებში, მისი გამოყენება გადახდისუუნარო კომპანიებისთვის დამატებით ტვირთს წარმოადგენდა.

გადახდისუუნარობის სისტემაში 1986 წლიდან განხორციელებული რეფორმები 2000 და 2002 წლების შემდგომი რეფორმებით კიდევ უფრო გაფართოვდა და დაიხვეწა. შედეგად, 'კომპანიების შესახებ' 2006 წლის ახალ კანონში უცვლელად გადმოვიდა 1985 წლის 'კომპანიების კანონით' გათვალისწინებული რეორგანიზაციების გეგმები მორატორიუმის გარეშე, ხოლო გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი კომპანიებისთვის, გაცილებით გამარტივებული და შეღავათიანი ფორმალური რეჟიმები ამოქმედდა უკვე გადახდისუუნარობის სპეციალური კანონის (Insolvency Act 1986, 2000 და 2002) ფარგლებში.

'მეწარმეთა შესახებ' საქართველოს კანონის მე-14<sup>მ</sup> მუხლით, რეორგანიზაცია, რომელიც იწვევს საწარმოს უნარის შემცირებას დააკმაყოფილოს კრედიტორები, საჭიროებს კრედიტორთა თანხმობას. ამასთან, კრედიტორული ვალდებულების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს კრედიტორთა თანხმობა რეორგანიზაციაზე. ამდენად, გადახდისუუნარობისათვის არასპეციალური კანონის პირობებში, ვალის



რესტრუქტურზაცია კაპიტალის რეორგანიზაციის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა თანხმობით. ვინაიდან მითითებული არ არის რაიმე კანონისმიერი უმრავლესობა, იგულისხმება ყველა კრედიტორის თანხმობა.

სამწუხაროდ, ამ მხრივ, თავად 2007 წლის გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს სპეციალური კანონიც არ განსხვავდება 'მეწარმეთა შესახებ' საქართველოს კანონისგან, თუმცა განსხვავდება ინგლისის როგორც გადახდისუნარობის, ისე კომპანიების შესახებ კანონებისგან. კერძოდ, 'გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ' საქართველოს კანონის 49.2 მუხლის მიხედვით, მოვალის ვალებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება ან შეცვლა შესაძლებელია ყველა კრედიტორის თანხმობით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უმრავლესობას არ შეუძლია უმცირესობისთვის სავალდებულო გადაწყვეტილება მიიღოს ვალის ოდენობის შემცირების ან სხვაგვარი ცვლილების საკითხზე. ამდენად, უმრავლესობის უფლებამოსილება შეიძლება გავრცელდეს ვალის გადახდის ვადებზე და სხვა ისეთ პირობებზე, რომელიც გამორიცხული არ არის 49-ე მუხლის სპეციალური შინაარსით.

## 5. რეგულირებული შეთანხმების არსი

რეგულირებული შეთანხმების ყველაზე ფართო და მარტივი ანალიზით, მთლიანი რეჟიმი ორ დიდ ფუნდამენტზე დგას:

1. მოლაპარაკების მაქსიმალური თავისუფლება, რაც ვლინდება შეთანხმების პროცედურისა და პირობების მინიმალური საკანონმდებლო კონტროლით; და
2. ამ თავისუფლების დამაბალანსებელი სამართლებრივი მექანიზმები, რაც გამოიხატება კრედიტორებისა და პარტნიორების მხრიდან დამტკიცებული შეთანხმების გასაჩივრების მოქნილი შესაძლებლობებით.

შედარებითი ანალიზის კუთხით, რეგულირებული შეთანხმება გაკოტრების საპირისპირო ალტერნატივაა, რომელმაც თავიდან უნდა აიცილოს ეკონომიკურად გაუმართლებელი გაკოტრება. ამდენად, რეჟიმი არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ისეთი კომპანიებისთვის, რომელთა გაკოტრებაც აუცილებელია ეკონომიკური გარემოს გასაჯანსაღებლად. პოზიტიური გაგებით, რეგულირებული შეთანხმება ასევე რეაბილიტაციის ალტერნატივაა, რადგან რეაბილიტაციასთან საერთო მიზანი, - კომპანიის ან მისი ბიზნესის გადარჩენა, აერთიანებს.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, რეგულირებული შეთანხმება გადახდისუნარობის ფორმალური რეჟიმია, რადგან მისი დადება და შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო დაცვის გარანტიებით, გადახდისუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის პირობებში. დაცვის გარანტიები მუშაობს ამკრძალავი ნორმებისა და მაკონტროლებელი სუბიექტების სახით. რაც მთავარია, რეჟიმს წვდომა ეძლევა კანონისმიერ მორატორიუმზე, თუმცა კომპანიას შეუძლია უარი თქვას მორატორიუმით სარგებლობაზე, თუ თვლის, რომ მასთან დაკავშირებულმა გარდაუვალმა საჯაროობამ შეიძლება დააზიანოს სენსიტიური ბიზნეს ინტერესები.

შინაარსობრივად, CVA შეიძლება დაიდოს ვალის შემცირების ან კომპანიის ან მისი ბიზნესის რეორგანიზაციის, ან ერთობლივად ორივე სახით<sup>27</sup>.

<sup>27</sup> Bland and Sargent [2003] EWHC 1068 (Ch).

ვალის შემცირებისას (composition in satisfaction of company's debts), კრედიტორის მოთხოვნა მცირდება თავდაპირველ მოთხოვნასთან შედარებით, თუმცა შემცირებული ვალის დაფარვის შედეგად, მოვალეს სრულად გადახდილად ეთვლება თავდაპირველი ვალი.

კომპანიის ან ბიზნესის რეორგანიზაცია (schemes of arrangement of company's affairs) ვალის შემცირებისათვის არ არის საკმარისი, თუმცა მოიცავს ვალის რესტრუქტურის კომპონენტს მისი ვადაში განაწილვადების ან მორატორიუმის შემოღების სახით<sup>28</sup>. მაგალითად, რეგულირებულმა შეთანხმებამ შეიძლება გაითვალისწინოს კონსენსუალური მორატორიუმი კრედიტორთა მოთხოვნებზე ან მის ნაწილზე შეთანხმების მოქმედების სრულ პერიოდზე. რეალურად ეს ნიშნავს შეთანხმების დამტკიცებამდე მოქმედი კანონისმიერი მორატორიუმის შემდეგ კონსენსუალური მორატორიუმის შემოღებას დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმების ძალით. რეორგანიზაციის ფარგლებში ექცევა ასევე მოვალე კომპანიის კაპიტალის ნებისმიერი სახით რეორგანიზაცია, სადაც კრედიტორთა ვალის კაპიტალიზაციაც შეიძლება იქნეს გათვალისწინებული. ბიზნესის რეორგანიზაციის სახეა მოვალე კომპანიის მიერ ბიზნესის, როგორც ერთიანი კომპლექსის გადაცემა სხვა სუბიექტზე, რაც გულისხმობს აქტივების ერთობლიობის გუდვილთან ერთად მიწოდებას, მოვალე კომპანიის წილის გასხვისების გარეშე.

ქართული კანონპროექტის არსებული ვერსია გამორიცხავს ბიზნესის, როგორც ერთიანი კომპლექსის გადაცემას, რაც რეგულირებულ შეთანხმებას მხოლოდ კომპანიის (ე.ი. ბიზნესთან ერთად კომპანიის) გადარჩენის ფარგლებით კეტავს. გარდა ამისა, იმის მიუხედავად, თუ რა კატეგორიის ვალის რესტრუქტურის იქნება არჩეული - ვალის შემცირება თუ ვალდებულებების ვადაში განაწილვადება, კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულირებული შეთანხმების ეფექტი გულისხმობს მანამდე არსებული ყველა ვალდებულების შესრულებულად ჩათვლას. იმისათვის, რომ ვალის შემცირების შედეგი ასევე ავტომატურად არ გავრცელდეს ვალის მხოლოდ განაწილვადებაზე, რეკომენდებულია მკაფიო ჩანაწერის დამატება. სხვა მხრივ, ქართული რეგულირებული შეთანხმება შესაძლოა ჩაიკეტოს მხოლოდ ვალის შემცირების ან შეწყვეტის მექანიზმით.

გადახდისუნარიობის სამართლიანი, ნაკლებად ხარჯიანი და სწრაფი გადაწყვეტა რეგულირებული შეთანხმების ამოსავალი მიზანია. ამდენად, რეჟიმის ბუნება გვკარნახობს, რომ მხარეები თავისუფალნი უნდა იყვნენ პირობების შეთანხმებისას (გარდა კანონისმიერი აკრძალვებისა), ხოლო სასამართლო არ უნდა ჩაერიოს პროცესში, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებისა.

რეაბილიტაციისგან განსხვავებით, რეგულირებული შეთანხმება ნაკლებად კონტროლდება როგორც კანონის ამკრძალავი ნორმებით, ისე მაკონტროლებელი სუბიექტების უფლებამოსილების მასშტაბით. კერძოდ, რეაბილიტაციაში

- სასამართლოს ეფექტური როლი აქვს რეაბილიტაციის გეგმის შინაარსობრივად შემოწმებასა და დამტკიცებაში;
- რეაბილიტაციის მმართველი სრულად ანაცვლებს კომპანიის მენეჯმენტს;
- კანონის ამკრძალავი დებულებების ძალით, შეუძლებელია ისეთი გეგმის დამტკიცება, რომელიც არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს შორის არღვევს *პარი პასუს* პრინციპს (მოთხოვნების თანაბარი პროპორციით დაკმაყოფილება).

<sup>28</sup> Adam & Partners Ltd [2001], Court of Appeal, 1 BCLC 222.

სწორედ ამგვარი დაცვის გარანტიების ხარჯზე, რეაბილიტაციის გეგმის დასამტკიცებლად საკმარისია მხოლოდ უბრალო უმრავლესობა, - კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე კრედიტორთა 50%-ზე მეტის ხმა.

რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებისათვის აუცილებელ ხმათა რაოდენობა აწეულია კვალიფიციურ უმრავლესობაზე, რადგან:

- მენეჯმენტი სრულად ინარჩუნებს მართვას, ხოლო გადახდისუნარიობის პრაქტიკოსს მხოლოდ ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება;
- სასამართლოს როლი ნომინალურია, რადგან შინაარსობრივად არ ამოწმებს და არ ამტკიცებს შეთანხმების ტექსტს;
- პარი პასუს პრინციპის დაცვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს შორის არ არის სავალდებულო; და
- საგარანტიო დაცვითი ნორმები შეეხება მხოლოდ უზრუნველყოფილ კრედიტორებსა და პრეფერენციულ კრედიტორებს (კომპანიის დასაქმებულებებს), და არა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს, როგორც ეს რეაბილიტაციაში გვხვდება (დეტალურად იხ. ქვემოთ).

უფრო კონკრეტულად, ინგლისის მოდელით, CVA-ს დამტკიცებისათვის აუცილებელია კრედიტორთა კრების ორი კატეგორიის უმრავლესობა. ამასთან, კრედიტორთა კრების პარალელურად, შეთავაზებას განიხილავს პარტნიორთა კრებაც, რომელიც მოწონებას გამოხატავს უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით უფრო მაღალი ოდენობა არ არის გათვალისწინებული.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კრედიტორთა კრების მიერ შეთანხმების დამტკიცებისათვის ერთდროულად მოითხოვება კრედიტორთა ხმების კვალიფიციური და უბრალო უმრავლესობის მონაწილეობა შემდეგი სპეციფიკის გათვალისწინებით:

- 1) კვალიფიციური უმრავლესობა: 75%-ზე მეტის უმრავლესობა, ე.ი. კრებაზე დამსწრე, ხმის უფლების მქონე არაუზრუნველყოფილი კრედიტორების 75%-ზე მეტი ხმა, და ამავედროულად,
- 2) უბრალო უმრავლესობა: კომპანიასთან არადაკავშირებული, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების 50%-ზე მეტი ხმა.<sup>29</sup>

ამდენად, შეთანხმებას მხარი რომც დაუჭიროს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ხმათა 75%-მა, თუკი, ამასთანავე, მის წინააღმდეგ ხმას მისცემს კომპანიასთან არადაკავშირებული, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების 50%, შეთანხმება დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება. მაგ. თუ კომპანიას ჰყავს 100 ლარის/ხმის შესატყვისი არაუზრუნველყოფილი კრედიტორი, რომელთაგანაც 54% ხმის შესატყვისი კრედიტორები კომპანიის პარტნიორები არიან, ხოლო 46%-ისა, - კომპანიასთან არადაკავშირებული, არაუზრუნველყოფილი (მაგ. სავაჭრო) კრედიტორები, იმისათვის, რომ შეთანხმება დამტკიცდეს, გამსვლელ 75%-ში იმავედროულად წარმოდგენილი უნდა იყოს 46%-ის ნახევარზე მეტი არადაკავშირებული კრედიტორი, ე.ი. 23 ხმაზე მეტი.

ნიშანდობლივია, რომ ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომლის საგანიც არ არის CVA-ს დამტკიცება, კრედიტორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია უბრალო უმრავლესობით. ასეთი საკითხებია, მაგალითად, კრების გადადება, ზედამხედველობის კანდიდატის შეცვლა, მორატორიუმის

<sup>29</sup> შენიშვნა: CVA-ში კრედიტორის ხმის უფლება ითვლება მოთხოვნის ოდენობისა და არა კრედიტორის რაოდენობის მიხედვით.

კომიტეტის არჩევა მორატორიუმის ვადის გაგრძელებისას<sup>30</sup>, რომელიმე სადავო კრედიტორისთვის ხმის უფლების მინიჭებაზე თანხმობის გამოთქმა და სხვა.

ქართული კანონპროექტის მიხედვით, რეგულირებულ შეთანხმებას, ასევე, ამტკიცებს მხოლოდ კრედიტორთა კრება, თუმცა პარტნიორთა კრების მიერ შეთავაზების მოწონება გადატანილია უფრო ადრეულ მონაკვეთზე, - რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების მომზადებამდე ეტაპზე. ეს გულისხმობს, რომ პარტნიორები თანხმობას გასცემენ დირექტორის მიერ შეთავაზების განხორციელების საკითხზე. ამ ფორმატს თავისებური წუნი აქვს, ვინაიდან პარტნიორთა კრების ვეტოს უფლებას მოიცავს (დეტალურად იხ. ქვემოთ).

რეაბილიტაციის მსგავსად, რეგულირებული შეთანხმება გარანტირებულად იცავს უზრუნველყოფილი კრედიტორებისა და პრეფერენციული კრედიტორების ინტერესებს. ეს პრინციპი იდენტურად არის ასახული ინგლისურ კანონსა და ქართული კანონპროექტის ვერსიებში. კერძოდ, შეთანხმებით არ შეიძლება შეიზღუდოს უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლება ადასრულოს უზრუნველყოფა რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების შემდგომ. პრეფერენციული კრედიტორების დაკმაყოფილებისას სავალდებულოა როგორც *პარი პასუს* პრინციპის დაცვა, ასევე მათი რიგის უპირატესობის დაცვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით. თუმცა, თუკი რეგულირებული შეთანხმება საერთოდ არ ითვალისწინებს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილებას (იმ პირობით, რომ გაკოტრების მინიმუმითაც იგივე ეფექტი დადგებოდა), შესაძლებელია პრეფერენციულ კრედიტორებზეც არ განაწილდეს თანხები, რადგან ამ მხრივ, პრეფერენციის, ე.ი. უპირატესობის წესი არ ირღვევა (აქაც, გაკოტრების მინიმუმთან შესაბამისობის დაცვით). კანონით დაცული ამ ორი პოზიციის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი უზრუნველყოფილი ან პრეფერენციული კრედიტორის თანხმობით.

რაციონალი, რომელიც განამტკიცებს უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებას ადასრულოს თავისი უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეთანხმების დამტკიცების შემდეგ, გამომდინარეობს მისი ხმის უფლების არარსებობიდან. ვინაიდან ხმის უფლება ასახავს კრედიტორის ფინანსურ დაუცველობას, უზრუნველყოფის ფარგლებში კრედიტორს ხმის უფლება არ ენიჭება. ამდენად, არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს არ ძალუძთ კრედიტორთა კრებაზე დაამტკიცონ ისეთი რეგულირებული შეთანხმება, რომელიც რაიმენაირად შეზღუდავდა უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლებას უზრუნველყოფის ღონისძიების რეალიზებაზე კანონისმიერი მორატორიუმის დასრულების შემდგომ. მაშ, რა აზრი აქვს ისეთი რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებას, რომლითაც უზრუნველყოფილ კრედიტორს ხმის უფლება ერთმევა და ამავე მიზეზით, უფლება ეძლევა ერთ დღეს დამტკიცებულ რეგულირებულ შეთანხმებას მეორე დღიდანვე სრულად დააკარგინოს აზრი ბიზნესისთვის აუცილებელი ქონების (იპოთეკის ან გირავნობის საგნის) რეალიზაციით?

შემოთავაზებული წესრიგით, უზრუნველყოფილი კრედიტორი გაყვანილია ცალკე მოლაპარაკების მაგიდასთან, სადაც მოლაპარაკების საგანია მოვალე კომპანიასა და უზრუნველყოფილ კრედიტორს შორის არსებული კონტრაქტი. ამგვარად, უზრუნველყოფილი კრედიტორი ჩამოშორებულია იმ საკითხებზე გავლენის მოხდენისაგან, რომელიც მის ინტერესს სცდება, და რომელიც უშუალოდ და მტკიცებულად ეხება სხვა, არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს. იმ შემთხვევაში, თუ მოვალე კომპანია და უზრუნველყოფილი კრედიტორი ვერ შეთანხმდებიან ორმხრივი კონტრაქტის პირობების გადასინჯვაზე, რომელიც მოცემული

<sup>30</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 35

მომენტისთვის დიდი ალბათობით, დარღვეულიცაა და კრედიტორის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტილიც (ე.ი. მთლიანი თანხა, პროცენტთან ერთად, ერთობლივად არის მოთხოვნილი), ეს მიანიშნებს იმაზე, რომ რეგულირებულ შეთანხმებას პერსპექტივა არ აქვს, რადგან უზრუნველყოფილი კრედიტორი აღასრულებს თავის მოთხოვნას კანონისმიერი მორატორიუმის დასრულებისთანავე, ე.ი. შეთანხმების დამტკიცების მეორე დღიდანვე.

აღნიშნული ხომ არ გულისხმობს, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მძევლად ჰყავს კომპანიაც და რეგულირებული შეთანხმების წარმატების პერსპექტივაც? ბალანსი შესაძლოა ვიპოვოთ მოვალის მხარეს არსებულ სამომრიგებლო ძალის ფაქტორში: თუკი კომპანიას რეალურად ემუქრება გაკოტრების საფრთხე რეგულირებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მაშინ უზრუნველყოფილი კრედიტორის ძალაუფლება იკვეცება იმ ნიშნულამდე, რა ნიშნულზეც კომპანია დასაბუთებულად აჩვენებს, რომ შეუძლია ვალის დაფარვა გადახდისუნარიანობის სტაბილურად შენარჩუნების ფონზე. როგორც წესი, უზრუნველყოფილ კრედიტორს ურჩევნია ჯანსაღმა კომპანიამ პერიოდულად დაუფაროს კრედიტის ძირიც და პროცენტიც, ვიდრე მოუწიოს გაკოტრებული კომპანიიდან უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია. ამგვარად, უზრუნველყოფილი კრედიტორი შემოფარგლულია საკუთარი კონტრაქტის საგნის ფარგლებით და დაბალანსებულია გაკოტრების რეალური საშიშროებით. ამასთან, მისი გავლენა კომპანიასა და სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს შორის ინტერესების გადაწყობაზე შეკვეცილია მაქსიმალურად, ე.ი. უზრუნველყოფილი კრედიტორი ვერ შეძლებს იმაზე მეტის მიღებას სხვა კრედიტორების ხარჯზე, რაც სინამდვილეში აუცილებელია გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. გაკოტრების თავიდან აცილება კი, თავის მხრივ, შეუძლებელია როგორც კომპანიასა და უზრუნველყოფილ კრედიტორებს შორის, ისე კომპანიასა და მის სავაჭრო კრედიტორებს შორის (ძირითადად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორები) მიღწეული მყარი გარიგებების გარეშე.

სწორედ იგივე მიზეზით, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი განეიტრალებულია რეგულირებულ შეთანხმებაზე გაუმართლებელი, ზომაზე მეტად საჭირო გავლენისაგან, რეგულირებული შეთანხმება გაცილებით მარტივი და მოქნილია, ვიდრე ინგლისის 'კომპანიების შესახებ' 2006 წლის კანონით შემოთავაზებული რთული და დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული რეორგანიზაციის გეგმები (კომპანიების კანონი, 2006 წ. მუხლი 895), რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი კრედიტორები თავიანთ კლასში უყრიან კენჭს მისაღებ გადაწყვეტილებას.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ რეგულირებულ შეთანხმებას გარკვეული უპირატესობები გააჩნია რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმებთან შედარებით. სავაჭრო კრედიტორებს შესაძლებლობა აქვთ მეტი დაკმაყოფილება მიიღონ, ვინაიდან გარანტირებული გაკოტრების მინიმუმის გარდა, *პარი პასუს* პრინციპის არარსებობის გამო, მათი დაკმაყოფილების რაციო შეიძლება ლეგიტიმურად აღემატებოდეს სხვა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების რაციოს. ამასთან, სავაჭრო კრედიტორების მთავარი ინტერესია გადარჩენილ კომპანიასთან ან ბიზნესთან შეინარჩუნონ სამომავლო სავაჭრო ურთიერთობები, რაც გაკოტრების შემთხვევაში შეუძლებელია.

## 6. რეგულირებული შეთანხმების დადება და შესრულება

რეგულირებული შეთანხმების რეჟიმი სამ მსხვილ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ: მოლაპარაკების (მორატორიუმის), შეთანხმების დადებისა და შესრულების ეტაპებად.

- 1) მოლაპარაკების ეტაპში შედის:

- ა) შეთანხმების შესახებ შეთავაზების მომზადება;
- ბ) შეთავაზების მიზანშეწონილობის შესახებ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ანგარიშის მოპოვება;
- გ) მორატორიუმის ამოქმედება; და
- დ) კრედიტორებისთვის შეთავაზების სრული პაკეტის მიწოდება, მათი მხრიდან შესაძლო ცვლილებების შემოთავაზების შესაძლებლობით.

მოლაპარაკების ეტაპზე გადამწყვეტია მკაფიოდ გამოვლინდეს სუბიექტები და მათი სამომრიგებლო ძალები. კერძოდ, მოვალის მხარეს უნდა დაფიქსირდეს მენეჯმენტის მზაობა და მყარი სურვილი კომპანიის/ბიზნესის ფინანსური სირთულეებიდან გამოსაყვანად, ხოლო კრედიტორების მხარეს უნდა გამოიკვეთოს ძალთა ბალანსი: ვის რამდენი ხმა აქვს და სად კონცენტრირდება გამსვლელი უმრავლესობა. ეფექტური მოლაპარაკებისათვის აუცილებელია კომპანიას ჰქონდეს თავისუფალი სუნთქვის საშუალება, რისთვისაც კანონმდებელს შემოაქვს კანონისმიერი მორატორიუმი, ე.წ. ჟანგბადის სივრცე. მორატორიუმის ეფექტია კრედიტორთა ინდივიდუალური აღსრულების შეჩერება კომპანიისა და მისი ქონების წინააღმდეგ.

- 2) შეთანხმების დადების ეტაპზე მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს შეთანხმებაზე უფლებამოსილი კრებების კომპეტენცია და დადებული შეთანხმების სავალდებულო ძალის გავრცელების ფარგლები. მაგალითად, სავალდებულო ხდება თუ არა შეთანხმება იმ კრედიტორებისთვისაც, რომელთაც მოსაწვევი არ გაეგზავნათ?

შეთანხმების შესრულების ეტაპზე გასათვალისწინებელია, რომ დარღვევისას, მხარეებისთვის ხელმისაწვდომია არამხოლოდ სახელშეკრულებო სამართლის დაცვის მექანიზმები, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სახით, არამედ, ალტერნატიულად, კომპანიის გაკოტრების რეჟიმზე გადართვაც.

თითოეული ეტაპი ქვემოთ განხილულია თანმიმდევრულად, შესავალში მითითებული მეთოდის გამოყენებით.

## 6.1. მოლაპარაკების ეტაპი

### შეთანხმების შეთავაზებაზე უფლებამოსილი პირები

CVA-ს შეთავაზების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ დირექტორებს,<sup>31</sup> ხოლო გაკოტრებისა და რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი კომპანიების შემთხვევაში - შესაბამის მმართველებს (გადახდისუუნარობის პრაქტიკოსებს). პარტნიორს და კრედიტორს შეთავაზების განხორციელების უფლება არ აქვს<sup>32</sup>.

ინგლისში მოქმედი მოდელით, შეთავაზების ადრესატები არიან: 1) გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი კომპანია, - პარტნიორთა კრების, როგორც კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოს სახით და 2) კომპანიის კრედიტორები.

<sup>31</sup> Insolvency Act 1986, Pt 1, s.1.

<sup>32</sup> Geoffrey M Wesigard, Michael Griffiths, *Company Voluntary Arrangements and Administrations* (Third Edition, 2013, Bristol, UK.) გვ. 6, პარაგრაფი 1.16



ქართული კანონპროექტის არსებული რედაქციის მიხედვით, შეთავაზების ადრესატები მხოლოდ კრედიტორები არიან, ვინაიდან შეთანხმებას კრედიტორთა კრება ექსკლუზიურად ამტკიცებს, პარტნიორთა კრების მიერ შეთანხმების პარალელურ რეჟიმში განხილვის გარეშე. უნდა დავუშვათ თუ არა პარტნიორთა კრების მიერაც შეთანხმების განხილვისა და მოწონების შესაძლებლობა, კრებებს შორის განსხვავებული პოზიციებით გამოწვეული რისკის დაზღვევის გათვალისწინებით, დამატებით მსჯელობას მოითხოვს. ქართული კანონპროექტით გათვალისწინებული პარტნიორთა კრების წინასწარი, სავალდებულო თანხმობა დირექტორის მიერ შეთავაზების განხორციელების ეტაპზე უკვე ნიშნავს პარტნიორთა კრებისთვის ვეტოს უფლების მინიჭებას, ვინაიდან მათი აუცილებელი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, დირექტორი შეთავაზების უფლებას კარგავს. ამდენად, ვეტოს უფლების მოხსნის მიზნით, სასურველია, პარტნიორთა მიერ შეთანხმების განხილვა და კენჭისყრა სავალდებულო გახდეს კრედიტორთა კრების თანადროულად, მორატორიუმის ეტაპზე, რა დროსაც, კრებებს შორის განსხვავებული პოზიციების დაფიქსირებისას, გადამძალავი ეფექტი მიენიჭება კრედიტორთა კრების გადაწყვეტილებას<sup>33</sup>, ხოლო ნებისმიერ ცალკეულ პარტნიორს შეუწინააღმდეგებელი გადამძალავი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კანონით მკაფიოდ დადგენილი საფუძვლებითა და შემთხვევებში. საამისოდ აუცილებელია, რომ პარტნიორთა წინასწარი, კანონით სავალდებულო თანხმობა დირექტორის მიერ შეთავაზების განხორციელებაზე, ჩანაცვლდეს მხოლოდ წესდებით განსაზღვრული სავალდებულო თანხმობით. თუკი პარტნიორებს სურთ დირექტორის კონტროლი რეგულირებული შეთანხმების საწყის ეტაპზევე, მათ შეუძლიათ წესდებით შეზღუდონ დირექტორის ამგვარი კანონისმიერი ექსკლუზიური უფლებამოსილება. წესდების პირობის დარღვევისა და აქედან გამომდინარე სარჩელების თავიდან არიდების მიზნით, სასამართლოში წარსადგენ დოკუმენტებს, სასურველია ასევე დაემატოს პარტნიორთა თანხმობის ამსახველი კრების ოქმიც.

რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების უფლების დირექტორის კომპეტენციით შემოზღუდვა შეესაბამება დირექტორის, როგორც კომპანიასთან სავალდებულო ფიდუციურ მდგომარეობაში მყოფი პირის სტატუსსა და პასუხისმგებლობას. დირექტორი იმყოფება საუკეთესო მდგომარეობაში, რათა განსაზღვროს, თუ რა იქნება კრედიტორებისა და პარტნიორების ის გამართლებული და ლეგიტიმური შევიწროვება, რომლის საპირწონედაც კომპანია შეძლებს ეკონომიკურად გაუმართლებელი გაკოტრების თავიდან აცილებას და სამომავლოდ საქმიანობის გაგრძელებას.

კომპანიის დირექტორის ფიდუციური მოვალეობა კომპანიის მიმართ გულისხმობს მის ვალდებულებას ა) იმოქმედოს კომპანიის საუკეთესო ინტერესებით; ბ) კომპანიასთან პირად ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოს ან პარტნიორთა კრებას გაუმჟღავნოს კონფლიქტის საფუძველი და გ) ნებისმიერ შემთხვევაში, უპირატესობა მიანიჭოს კომპანიის ინტერესს საკუთარ ინტერესთან შედარებით.

ჯანსაღი კომპანიის პირობებში, ფიდუციური მოვალეობა განიმარტება პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით მოქმედების ვალდებულებად, რაც არ ნიშნავს რომელიმე ცალკეული პარტნიორის სასარგებლოდ მოქმედების უპირობო ვალდებულებას. გადახდისუუნარობისას, დირექტორის ფიდუციური ვალდებულება იცვლის მიმართულებას ისე, რომ პარტნიორებთა ინტერესები ჩანაცვლდება კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესებით, რაც

<sup>33</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 36

ასევე, არ გულისხმობს რომელიმე ცალკეული კრედიტორის სასარგებლოდ მოქმედების ვალდებულებას.

დირექტორისგან განსხვავებით, პარტნიორი, კომპანიასთან ურთიერთობაში, როგორც წესი, მოქმედებს პირადი ინტერესებით, ხმის უფლების რეალიზაციის გზით. კომპანიის მიმართ მის ერთადერთ ვალდებულებას წარმოადგენს კომპანიაში დათქმული შენატანის სრულად შეტანა. პარტნიორის ლოიალობისა და ფიდუციური ვალდებულება კომპანიისა ან/და სხვა პარტნიორების მიმართ გვხვდება მხოლოდ საგამონაკლისო ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, ძირითადად, დახურული ტიპის საზოგადოებებში, სადაც პარტნიორის ამგვარი ერთგულება, ნდობა და გადაწყვეტილებებისა თუ ქმედებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ბიზნესის წარმართვის უალტერნატივო ფაქტორია.

ამდენად, გადახდისუუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის წინაშე მყოფი კომპანიის დირექტორი, რომელიც რეგულირებული შეთანხმების შეთავაზებას ამზადებს, კომპანიასთან უკვე იმყოფება ისეთ ფიდუციურ ურთიერთობაში, რომელიც მას კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედების ვალდებულებას აკისრებს. ეს პოზიცია ბუნებრივად ვერ ექნება ვერც პარტნიორს და ვერც რომელიმე ცალკეულ კრედიტორს, რადგან თითოეული მათგანი ლეგიტიმურად იბრძვის თავისი კერძო ინტერესის მაქსიმალურად დაცვის მიზნით. ამდენად, ბუნებრივი ინტერესთა კონფლიქტი გამორიცხავს მათთვის რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების უფლების მინიჭებას, რადგან ასეთ პირობებში მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ კრედიტორების ერთობლიობის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედება. იგივე რაციონალს განამტკიცებს დირექტორის მიერ, კომპანიის გადახდისუუნარობამდე 1 წლით (ურთიერთდაკავშირებული პირების შემთხვევაში, 2 წლით) ადრე რომელიმე ცალკეული კრედიტორისათვის მინიჭებული პრეფერენციის ან საბაზრო ფასზე დაბალი ღირებულებით ქონების გასხვისების გაბათილების კანონისმიერი შესაძლებლობა<sup>34</sup>.

დირექტორის შეთავაზება უნდა ეყრდნობოდეს კომპანიის საქმიანობის ანგარიშს<sup>35</sup>, დათარიღებულს არაუადრეს შეთავაზებამდე სამი თვის მდგომარეობით, რაც თავის მხრივ, შემოწმებული უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ეს ორი საბაზისო დოკუმენტი, - შეთავაზება და კომპანიის საქმიანობის ანგარიში შეფასების მიზნით ეგზავნება კომპანიის მიერ შერჩეულ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსს, როგორც რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველობის კანდიდატს. კანდიდატი რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების მომენტიდან იწოდება ზედამხედველად. ქართული კანონპროექტით, პრაქტიკოსი ზედამხედველად იწოდება რეგულირებული შეთანხმების სრულ პერიოდზე.

ეკონომიკური შინაარსით, შეთავაზება შეიძლება ორ დიდ ნაწილად დავყოთ: კომპანიის ვალდებულებების ცვლილება მოცულობის ან/და დროითი კომპონენტის მხრივ, და ამ ცვლილებების უშუალო გავლენა კომპანიის/ბიზნესის გაჯანსაღებაზე, შეთავაზებით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად. უფრო დეტალურად, ის მოიცავს კრედიტორებზე გასანაწილებელი თანხების ოდენობებს, წესსა და ვადებს, კომპანიის ბიზნესის სახეობასა და დაფინანსების წყაროებს. შეთავაზებაში სავალდებულოდ უნდა მიეთითოს, აპირებს თუ არა კომპანია მორატორიუმით სარგებლობას (ეს ინფორმაცია ესაჭიროება სასამართლოს, და არა კრედიტორებს, რადგან კრედიტორები შეთავაზების შესახებ *ოფიციალურად* შეიტყობენ უკვე ამოქმედებული მორატორიუმის პირობებში). კომპანიის საქმიანობის ანგარიშის შემადგენლობა პირდაპირ არის გაწერილი კანონმდებლობით, მათ შორის, უმთავრესია, კომპანიის

<sup>34</sup> 'გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ' საქართველოს კანონი, მუხლი 35.

<sup>35</sup> Insolvency Act 1986, Pt 1, s2(3)



კორპორატიული სურათი, აქტივები და ვალდებულებები, კრედიტორთა კატეგორიები, - უზრუნველყოფილი, არაუზრუნველყოფილი, პრეფერენციული და კომპანიასთან დაკავშირებული კრედიტორების სახით; ქონება და კრედიტორები, რომლებზეც უნდა გავრცელდეს შეთავაზება, და პირიქით, რომლებიც უნდა ამოირიცხონ რეგულირებული შეთანხმებიდან<sup>36</sup> (ასეთის არსებობისას); მოვალის სასარგებლოდ გაცემული თავდებობები, გარანტიები და მის სასარგებლოდ დატვირთული მესამე პირთა საკუთრება.

პრაქტიკოსი შეთავაზებას და კომპანიის საქმიანობის ანგარიშს ამოწმებს ორი ძირითადი კრიტერიუმით<sup>37</sup>:

- 1) აქვს თუ არა შეთავაზებას დამტკიცებისა და შესრულების გონივრული პერსპექტივა, და
- 2) ექნება თუ არა კომპანიას წვდომა საკმარის ფულად სახსრებზე, რათა უწყვეტად განაგრძოს საქმიანობა მორატორიუმის პერიოდზე.

პრაქტიკოსის დასკვნა გაიცემა ზედამხედველის ანგარიშის სახით (ინგლისში, - ზედამხედველობის კანდიდატის ანგარიშის სახით), რომელსაც უნდა ერთვოდეს პრაქტიკოსის თანხმობა ზედამხედველის საქმიანობის განხორციელებაზე. პრაქტიკოსის მხოლოდ დადებითი ანგარიში შეიძლება იყოს საფუძველი სასამართლოს მიერ მორატორიუმის შემოღებისთვის. თუმცა, კომპანიას შეუძლია არ ისარგებლოს მორატორიუმით მის თანმდევ საჯაროობასთან დაკავშირებული უარყოფითი გავლენის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის ტექსტში განვითარებული თანმიმდევრობის შესაბამისად, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი პირველად ჩნდება შეთავაზების შეფასების ეტაპზე, პრაქტიკაში, კომპანიის მენეჯმენტი შეთავაზების ტექსტის შექმნამდე იწყებს კონსულტაციებს პრაქტიკოსთან<sup>38</sup>. ეს ემსახურება ხარჯების დაზოგვას და შეთავაზების პერსპექტივის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე შემოწმებას. ბუნებრივია, პრაქტიკოსს, რომელიც თავად იყო ჩართული შეთავაზების შექმნის პროცესში, გაცილებით იოლად შეუძლია გასცეს სასამართლოსთვის დამაკმაყოფილებელი მკაფიო და დადებითი შეფასებები. კრედიტორთა და პარტნიორთა კრებებზე შეთავაზების გატანამდე, პრაქტიკოსის მიერ მისი კონკრეტული საზომებით შემოწმება აზღვევს რისკს, რომ ყველა შესაძლო უსარგებლო და წარუმატებელ შეთავაზებაზე არ იქნეს გაწეული მოლაპარაკების ხარჯები.

ანგარიშის მოსამზადებლად პრაქტიკოსს ერთი თვის ვადა აქვს, რომლის ამოწურვამდეც ის ვალდებულია დირექტორს გაუგზავნოს ანგარიში. ვინაიდან პრაქტიკა კანონში სრულად ვერ გაიწერება, კანონი ცალკე გარანტიებს უქმნის პრაქტიკოსს ნებისმიერ საჭირო ინფორმაციაზე წვდომის მისაღებად. კერძოდ, თუ პრაქტიკოსი ჩათვლის, რომ დადებითი ანგარიშისთვის მას ესაჭიროება ინფორმაცია, რომელიც კომპანიის საქმიანობის ანგარიშში ან შეთავაზებაში არ იქნა წარდგენილი, ის უფლებამოსილია დირექტორს მოსთხოვოს ამ ინფორმაციის მიწოდება ან თავად იქნეს დაშვებული კომპანიის დოკუმენტაციასთან. ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პრაქტიკოსს შეუძლია გაიწვიოს თანხმობა ზედამხედველობის (კანდიდატის) ფუნქციის განხორციელებაზე<sup>39</sup>. თანხმობის გამოთხოვა დირექტორების ნეგატიური ან სახიფათო გავლენის შეზღუდვის ეფექტური საშუალებაა. გასათვალისწინებელია, რომ ზედამხედველს თანხმობის გამოთხოვა შეუძლია როგორც მორატორიუმამდე, ისე მორატორიუმის პერიოდზე.

<sup>36</sup> IRC v Wimbledon Football Club [2004] EWCA, [2005] BCLC 66

<sup>37</sup> Insolvency Act 1986, Pt 1, s.2

<sup>38</sup> Geoffrey M Wesigard, Michael Griffiths, *Company Voluntary Arrangements and Administrations* (Third Edition, 2013, Bristol, UK.) გვ.57

<sup>39</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 25

დადებითი ანგარიშის შემთხვევაში, დირექტორი სასამართლოს წარუდგენს ოთხ დოკუმენტს:<sup>40</sup>

- 1) რეგულირებული შეთანხმების შეთავაზებას.
- 2) კომპანიის საქმიანობის აუდირებულ ანგარიშს.
- 3) ზედამხედველობის კანდიდატის თანხმობას ზედამხედველობის განხორციელებაზე.
- 4) ზედამხედველობის კანდიდატის დადებით ანგარიშს:
  - ა) რეგულირებული შეთანხმების დამტკიცებისა და შესრულების გონივრულ პერსპექტივისა, და
  - ბ) საკმარისი ფულადი სახსრების არსებობის შესახებ მორატორიუმის პერიოდზე საქმიანობის გასაგრძელებლად.

რეკომენდაციის სახით, ვფიქრობთ, აუცილებელია პარტნიორთა კრების თანხმობის წარდგენაც, თუკი დირექტორს წესდებით ევალებოდა თანხმობის მოპოვება.

სასამართლოს როლი ნომინალურია, ვინაიდან შეთავაზებასა და კომპანიის საქმიანობის ანგარიშს შინაარსობრივად ის თავად აღარ აფასებს, არამედ ამ ორ დოკუმენტს ამოწმებს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემადგენლობასთან ფორმალური შესამისობის კუთხით. თუმცა, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოსცემს განჩინებას მორატორიუმის შემოღების შესახებ, თუკი ზედამხედველობის კანდიდატის ანგარიში დადებით დასკვნებს შეიცავს ზემოთმითითებულ ორ საკითხზე. სასამართლოს განჩინება გამოაქვს დოკუმენტების წარდგენიდან 24 საათში, და განჩინების თარიღიდან აითვლება მორატორიუმი ორი თვის ვადით. ქართული კანონპროექტით, სასამართლოს განჩინების გამოტანაზეა დამოკიდებული მორატორიუმის ამოქმედება, მაშინ, როცა ინგლისის კანონმდებლობით, მხოლოდ დოკუმენტების პაკეტის წარდგენა და სასამართლოში რეგისტრაციაა საკმარისი მორატორიუმის ავტომატური ამოქმედებისთვის. ამდენად, ქართულ სასამართლოს მაინც მიენიჭა არსებითი კონტროლის ფუნქცია, რაც გამართლებულად მიგვაჩნია. ინგლისისგან განსხვავებით, ქართული კანონპროექტით, მორატორიუმით სარგებლობა შეუძლია ყველა კომპანიას, რომელიც ზოგადად, ამავე კანონპროექტით უფლებამოსილია ისარგებლოს გადახდისუნარობის რეჟიმებით. ინგლისში მორატორიუმით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მცირე ბიზნესს, ხოლო დანარჩენ კატეგორიებს რეგულირებული შეთანხმების პროცედურა შეუძლიათ გამოიყენონ ა) კანონისმიერი მორატორიუმის გარეშე, ე.ი. მხოლოდდამხოლოდ კონსენსუალური მორატორიუმის პირობებში ან ბ) რეაბილიტაციიდან ან გაკოტრებიდან რეგულირებული შეთანხმების რეჟიმში გადმორთვის გზით. მცირე ბიზნესი, ამ მხრივ, უნდა აკმაყოფილებდეს სამი პირობიდან ნებისმიერ რომელიმე ორს<sup>41</sup>:

- არაუმეტეს 50 დასაქმებული;
- წლიური ბრუნვა არაუმეტეს 10.2 მილიონი ფუნტი, და
- წლიური ბალანსი არაუმეტეს 5.1 მილიონი ფუნტი.

ინგლისში მორატორიუმზე დასაშვებობის კრიტერიუმების ასე ვიწროდ განსაზღვრა გადახდისუნარობის სხვადასხვა რეჟიმებითაც შეგვიძლია ავხსნათ. კერძოდ, 2000 და 2002 წლების რეფორმების შედეგად, სასამართლოს ექსკლუზიური როლი რეაბილიტაციის რეჟიმის

<sup>40</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 7

<sup>41</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 3

გახსნის საკითხზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა. მაგ. რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნა შეუძლიათ კომპანიის დირექტორებს ან პარტნიორთა კრებას რეაბილიტაციის მმართველის პირდაპირი და უშუალო დანიშვნით. დანიშვნის აქტის სასამართლოში წარდგენისა და რეგისტრაციის შედეგად ავტომატურად იხსნება რეჟიმი ერთწლიანი კანონისმიერი მორატორიუმით. მმართველის დანიშვნის აქტის სასამართლოში რეგისტრაციის თანმდევი სიკეთეა ასევე კრედიტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ სასამართლოში რეგისტრირებული დოკუმენტების გაცნობის უფლება. ვინაიდან რეაბილიტაციის რეჟიმს გარანტირებული 1 წლიანი კანონისმიერი მორატორიუმი აქვს, CVA-ს მორატორიუმის მსხვილი კომპანიებისთვისაც დაშვება რეფორმებში აღარ იქნა გათვალისწინებული, მიუხედავად რეფორმატორებისა და აკადემიური წრეების მოთხოვნისა (კორკის ანგარიშის თავდაპირველ ვერსიაში მორატორიუმი გათვალისწინებული იყო ყველა ტიპის კომპანიისთვის). რეაბილიტაციის რეჟიმის გარდა, CVA-ს პროცედურაში მორატორიუმზე დაშვების შეზღუდვა განპირობებულია ასევე ინგლისში არსებული სხვა სპეციფიური *გადახდისუნარობის* რეჟიმიტაც - კვალიფიციური კრედიტორის აღმასრულებლის პროცედურით (receiver და administrative receiver). იმისათვის, რომ კომპანიებმა CVA-ს მორატორიუმით არ დააბრკოლონ კვალიფიციური კრედიტორის აღმასრულებლის სრულიად მართლზომიერი შესვლა კომპანიაში, მორატორიუმი შეზღუდულია მცირე ბიზნესის მქონე კომპანიებზე. კვალიფიციური კრედიტორები, ძირითადად, გვხვდება მსხვილ და საშუალო ბიზნესში; გარდა ამისა, კომპანია, რომელსაც ერთი კონტრაქტით 10 მილიონ ფუნტზე მეტი ვალდებულება აქვს ნაკისრი, ასევე არ დაიშვება მორატორიუმზე<sup>42</sup>. ეს პირდაპირ მიუთითებს კვალიფიციური კრედიტორის დაცვაზე. ქართული კანონპროექტი არ იცნობს კვალიფიციური კრედიტორის პროცედურას, როგორც ცალკე მდგომი გადახდისუნარობის რეჟიმს. ამასთან, რეაბილიტაციის რეჟიმზე, ქართულ სასამართლოს უნარჩუნდება ექსკლუზიური და ეფექტური როლი. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, რეგულირებული შეთანხმების მორატორიუმზე დასაშვებობის რაიმე სპეციალური ბარიერი, გარდა მორატორიუმის გამომრიცხავი ზოგადი გარემოებებისა, ქართულ კანონპროექტში აღარ იქნა გათვალისწინებული.

ინგლისურ მოდელში, მორატორიუმის გამომრიცხავი ზოგადი მოთხოვნები დადგენილია არა კომპანიების პროფილის მიხედვით, არამედ მორატორიუმით ბოროტად სარგებლობის ალკვეთის კუთხით. ამდენად, მორატორიუმის გამომრიცხავი ზოგადი გარემოებების ფილტრის გავლა უწევს მორატორიუმზე უფლებამოსილ ყველა კომპანიას, ე.ი. მცირე ბიზნესის მქონე, რეგულირებული შეთანხმებით დაინტერესებულ ნებისმიერ კომპანიას<sup>43</sup>. გამომრიცხავი გარემოებების მიხედვით, CVA-ს მორატორიუმის შემოღება დაუშვებელია, თუკი შეთავაზების განმახორციელებელი კომპანია, სასამართლოში შეთავაზების პროექტისა და ზედამხედველის კანდიდატის ანგარიშის წარდგენის დღისთვის:

- ა) რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმშია (ე.ი. უკვე სარგებლობს ამ რეჟიმების დამახასიათებელი მორატორიუმით);
- ბ) მის მიმართ ძალაშია დამტკიცებული CVA;
- გ) კომპანიაში შესულია კვალიფიციური კრედიტორის აღმასრულებელი (ინგლისის სპეციფიური რეჟიმის სახეობა); და
- დ) სასამართლოში დოკუმენტების წარდგენის თარიღამდე, უწყვეტი 12 თვიანი პერიოდის ნებისმიერ ეტაპზე კომპანიის მიმართ მოქმედებდა მორატორიუმი, რომლის ამოწურვის მომენტისთვისაც:

<sup>42</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 4C

<sup>43</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 3

დ.ა) კომპანიის მიმართ ძალაში არ ყოფილა რეგულირებული შეთანხმება (მაგ. რეგულირებული შეთანხმების რეჟიმში, კრებაზე ვერ დამტკიცდა რეგულირებული შეთანხმება და შედეგად ამოიწურა მორატორიუმი; ან რეაბილიტაციის რეჟიმში ვერ დამტკიცდა რეგულირებული შეთანხმება და მორატორიუმი ამოიწურა) ან

დ.ბ) კომპანიის მიმართ ძალაში იყო რეგულირებული შეთანხმება, მაგრამ ის ნაადრევად შეწყდა (ე.ი. შეწყდა მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე).

ინგლისური მოდელისაგან განსხვავებით, ქართული კანონპროექტი შემოიფარგლება საკმაოდ ფართო და ბუნდოვანი ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც, რეგულირებული შეთანხმების შესახებ შეთავაზება არ შეიძლება განხორციელდეს, თუკი შეთავაზებამდე მოვალე კომპანია სარგებლობდა მორატორიუმით, რომელიც შეწყდა (ეს შემთხვევა არ ითვალისწინებს სხვა რეჟიმებიდან გადმორთვას). ჩანაწერში არ არის დაკონკრეტებული მორატორიუმის შეწყვეტის საფუძვლები, მიზეზი, ვადები, და რაც მთავარია, იმ რეჟიმის წარმატება-წარუმატებლობის საკითხი, რომლის გამოც მორატორიუმი იქნა თავის დროზე შემოღებული. ამდენად, რეკომენდებულია შესაძლო დაზუსტება და პირობების უფრო მკაფიოდ გამოკვეთა.

მორატორიუმის შემოღებისთანავე, ზედამხედველი და არა კომპანიის მენეჯმენტია პასუხისმგებელი აუცილებელი საჯაროობის უზრუნველყოფაზე. კანონისმიერი შეტყობინებები ეგზავნება სამეწარმეო რეესტრსა და აღსრულების ბიუროს (ინგლისში, ასევე გაკოტრების განცხადების შემტან კრედიტორს, ასეთის არსებობისას).

მორატორიუმის ეფექტის ზუსტად განსაზღვრა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, კანონი ზუსტად და მკაფიოდ ადგენს კრედიტორთა უფლებებისა და ქმედებების შეჩერების ფარგლებს, ასევე, მორატორიუმის შესაძლო მოხსნის გამონაკლისებს.

როგორც ინგლისურ, ასევე ქართული კანონპროექტის მოდელში, რეგულირებული შეთანხმების მორატორიუმი ანალოგიურია სხვა რეჟიმების მორატორიუმისა, თუმცა ხაზი უნდა გაესვას შემდეგ თავისებურებებს:

ინგლისურ მოდელში, სავსებით სამართლიანად, მორატორიუმი ვერ აჩერებს კრედიტორის, პარტნიორისა და დირექტორის საჩივრებს ზედამხედველობის კანდიდატის არა მხოლოდ უკანონო და არამართლობიერ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე, არამედ ისეთებზეც, რომლებიც იწვევს მომჩივანის საფუძვლიან უკმაყოფილებას (ანალოგიური საჩივრები, ჩვეულებრივ, დაიშვება მორატორიუმის ამოწურვის შემდეგაც, ზედამხედველის ფუნქციონირების სრულ პერიოდზე)<sup>44</sup>. ინგლისის სასამართლო მორატორიუმის პირობებში განიხილავს ასეთ საჩივრებს და უფლებამოსილია ძალაში დატოვოს ან გააუქმოს ზედამხედველობის კანდიდატის გადაწყვეტილება ან მისი შესაბამისი ქმედების ეფექტი. სასამართლოს, ასევე, შეუძლია შეწყვიტოს მორატორიუმი. ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს შეუძლია ზედამხედველობის კანდიდატს შეუწყვიტოს უფლებამოსილება მხოლოდ დირექტორის ან თავად კანდიდატის განცხადების საფუძველზე.

თუ არსებობს გონივრული და დამაჯერებელი საფუძვლები, რომ ზედამხედველობის კანდიდატის ქმედების ან გადაწყვეტილების შედეგად კომპანიამ ზიანი განიცადა, ხოლო კომპანია არ უჩივის კანდიდატს ზიანის ანაზღაურებაზე, კომპანიის ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კომპანიის სახელით, სარჩელით მიმართოს სასამართლოს კანდიდატის

<sup>44</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 26

წინააღმდეგ.<sup>45</sup> სასამართლოს შესაძლო გადაწყვეტილებების სპექტრი შემდეგია: დაავალოს კომპანიას სასარჩელო წარმოების დაწყება/გაგრძელება ან მოსარჩელე კრედიტორისთვის ინფორმაციული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა. ზიანის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს შეუძლია არ დაუშვას სასარჩელო წარმოება, თუკი ზედამხედველობის კანდიდატი მოქმედებდა გონივრულად და კომერციული განსჯის შედეგად (კვლავ, დერივაციის ანალოგია).

ანალოგიურად, კრედიტორსა და პარტნიორს უფლება აქვთ როგორც მორატორიუმის მოქმედების პერიოდზე, ისე მისი ამოწურვის შემდეგ, გაასაჩივრონ დირექტორის გადაწყვეტილებები და ქმედებები. საჩივრის საფუძველია დირექტორის მიერ კომპანიის საქმიანობისა და ქონების ისეთი მართვა, რომელიც ზიანის მომტანიად კრედიტორს ან პარტნიორსა ერთობლიობისთვის.

სასამართლოს გადაწყვეტილებათა სპექტრი, ასევე, ფართოა, - დირექტორს შეიძლება აეკრძალოს ან შეეზღუდოს გასაჩივრებული ქმედებების სამომავლოდ განხორციელება; რელევანტურ პირს დაევალოს კრედიტორთა ან პარტნიორთა კრების მოწვევა სასამართლოს მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით; შეწყვეტილ იქნეს მორატორიუმი; დარეგულირდეს მენეჯმენტის პროცესი სასამართლოს კონკრეტული დირექტივებით მორატორიუმის დარჩენილ ნაწილზე (და არა ზოგადად).

ქართული კანონპროექტი გასაჩივრების ასეთ შესაძლებლობებს არ იცნობს და ამდენად, დაინტერესებული მხარეების მხრიდან გადახდისუუნარობის პრაქტიკოსისა და დირექტორის ლეგიტიმური და ეფექტური კონტროლის მიზნით, იგივეს გაზიარება უაღრესად რეკომენდებულია.

ინგლისურ მოდელში, სტანდარტულად, მორატორიუმის მოქმედების პერიოდზე დაუშვებელია:

- კომპანიის პარტნიორთა კრების მოწვევა, გარდა ზედამხედველობის კანდიდატის ან სასამართლოს თანხმობისა და, უკანასკნელ შემთხვევაში, ისეთი პირობებით, რომელიც შეიძლება სასამართლომ დააწესოს;
- რეაბილიტაციის ან გაკოტრების განცხადების შეტანა;
- აღმასრულებლის / სეკვესტრის, მათ შორის, კვალიფიციური კრედიტორის აღმასრულებლის დანიშვნა;
- მეიჯარის მხრიდან კომპანიისთვის საიჯარო ხელშეკრულებით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე ხელშეკრულების შეწყვეტა იჯარის ნებისმიერი პირობის დარღვევის საფუძველით, გარდა სასამართლოს თანხმობისა, რა დროსაც სასამართლოს შეუძლია გარკვეული პირობები დააწესოს;
- კრედიტორების მიერ უზრუნველყოფით დატვირთული კომპანიის კუთვნილი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა ან სხვაგვარად აღსრულება. ასევე, მფლობელობის აღდგენა პირობადებული ხელშეკრულებით ან ლიზინგით კომპანიის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე/საქონელზე, გარდა სასამართლოს თანხმობისა, რა დროსაც, სასამართლოს შეუძლია გარკვეული პირობები დააწესოს;
- კრედიტორების მიერ ნებისმიერი სასამართლო ან სააღსრულებო პროცესის წამოწყება ან განგრძობა, გარდა სასამართლოს თანხმობისა და იმ პირობებით, რომელიც შეიძლება სასამართლომ დააწესოს (შენიშვნა: ამ შეზღუდვიდან გამონაკლისია დირექტორისა და

---

<sup>45</sup> შენიშვნა: დერივაციის ანალოგია გადახდისუუნარიან კომპანიაში, სადაც კრედიტორის ნაცვლად, პარტნიორს ენიჭება სასარჩელო უფლება კომპანიის სახელით.

ზედამხედველობის კანდიდატის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე საჩივრების შეტანა მორატორიუმის პერიოდზე).

ქართული კანონპროექტი, მორატორიუმისთვის ასევე ითვალისწინებს როგორც ავტომატურ, ისე სასამართლოს დისკრეციით შემოღებულ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, ასევე მათი მოხსნის წინაპირობებსა და შემთხვევებს. განსხვავება ინგლისურ მოდელთან უმთავრესად გვხვდება ორ ნაწილში:

ა) პარტნიორთა კრების მოწვევასა და გადაწყვეტილების მიღებას ქართული კანონპროექტი კრძალავს მხოლოდ დივიდენდის განაწილების, საწარმოს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციის საკითხებზე. ამდენად, კაპიტალის შესაძლო შემცირების, ე.ი. კაპიტალის გატანის საკითხი ამოვარდნილია აკრძალვიდან. ასევე, თუკი პარტნიორებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ მორატორიუმის დროს აკრძალონ ან შეზღუდონ კონკრეტული ტიპის გარიგებების დადება მათი კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობის გარეშე, ამან შეიძლება შეასუსტოს რეგულირებული შეთანხმების წარმატების პერსპექტივა.

ბ) ქართული კანონპროექტი არ იცნობს მეიჯარის უფლების შეზღუდვას საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მხრივ. ვინაიდან შენობა-ნაგებობები მნიშვნელოვანი იქნება კომპანიის ან ბიზნესის შენარჩუნებისთვის, ვფიქრობთ, ამ კომპონენტის დამატებაც მორატორიუმის საერთო მუხლში ეფექტური იქნება.

როგორც ვლინდება, მორატორიუმი არ არის აბსოლუტური და ხშირ შემთხვევაში ექვემდებარება სასამართლოს მიერ გაუქმებას კონკრეტული კრედიტორის მიმართ, თუკი კრედიტორი სასამართლოს დამაჯერებლად დაუსაბუთებს მისი უფლების შეზღუდვით გამოწვეულ განსაკუთრებულ უსამართლობასა და გაუმართლებელ ზიანს.

როგორც ქართულ, ისე ინგლისურ მოდელში, განსაკუთრებით გამოსაყოფია უზრუნველყოფილი კრედიტორის უფლება, მიმართოს სასამართლოს მორატორიუმის მოხსნითა და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით. სასამართლო ასეთ შემთხვევაში კრიტიკულად შეადარებს რეგულირებული შეთანხმების წარმატების საჯარო ინტერესსა და კრედიტორის საკუთრების (სანივთო) უფლების დაცვის საჯარო ინტერესს. ინგლისის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თუ ქონება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადახდისუუნარობის რეჟიმის წარმატებისთვის, კრედიტორს შესთავაზებენ ოპტიმალური დაფარვის გრაფიკს, რაც სავალდებულო ხდება სასამართლოს განჩინების ძალით. ალტერნატიულად, კრედიტორისათვის გაუმართლებელი ზიანის პირობებში, უზრუნველყოფით დატვირთული ქონების რეალიზაციის ავტორიზებისას, კომპანია ფაქტობრივად გაკოტრების კანდიდატი ხდება. ამ რისკის უკანასკნელ დაზღვევად რჩება სრულიად ახალი კრედიტორის მოზიდვა, რომელიც დაფარავს წინა კრედიტორის მოთხოვნას და ამგვარად გადაარჩენს კომპანიას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქონების რეალიზაციისაგან. ე.ი. შეთავაზების შესახებ იდეის ჩასახვის მომენტიდანვე სასურველია, რომ კომპანიამ, გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთან კონსულტაციის ფონზე, შეამოწმოს რამდენად მზად არიან ძირითადი კრედიტორები კომპანიასთან თანამშრომლობისთვის. კერძოდ, თუ არსებობს მაღალი რისკი, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი შეძლებს მორატორიუმის მოხსნას, სასურველია ასეთი კრედიტორის პოზიცია ადრეულ ეტაპზევე გაირკვეს და დაზღვევის მექანიზმებიც დაიგეგმოს.

შეთავაზების ტექსტის შექმნისა და მორატორიუმის ამოქმედების პროცესი ისე ვითარდება, რომ კანონის ძალით სავალდებულო რაიმე ტიპის კომუნიკაცია კომპანიასა და კრედიტორებს შორის არ დგება. ე.ი. კრედიტორებს შეთავაზების გაცნობის შესაძლებლობა ფორმალურად მხოლოდ მორატორიუმის ამოქმედების შემდეგ ეძლევათ. თუმცა, პრაქტიკოსის ადრეულ ეტაპზევე ჩართვის მსგავსად, მორატორიუმის მოპოვებამდე კომპანიას ესაჭიროება შემდეგი საკითხების

მინიმალურ დონეზე გარკვევა: 1) ახალი დაფინანსების წყაროების შესაძლებლობის განხილვა და 2) ძირითად სავაჭრო კრედიტორთა სურვილისა და მზაობის გამორკვევა შესაძლო თანამშრომლობაზე. ამ საკითხების მინიმალურად გარკვევა გარდაუვალია უზრუნველყოფილი კრედიტორების ჩართულობის გარეშე, ვინაიდან კომპანიასთან დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებებში სტანდარტული მუხლების სახით წარმოდგენილია შემზღვევითი ვალდებულებები (restrictive covenants), რომელთა მიხედვითაც ახალი ფინანსური ვალდებულების აღება ან ახალი უზრუნველყოფის შეთავაზება კომპანიას ეკრძალება კრედიტორის თანხმობის გარეშე. ახალი ფულადი ნაკადებიც, ხშირად, იგივე უზრუნველყოფილი კრედიტორებისგან არის მოსალოდნელი. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი კრედიტორის მზაობა თანამშრომლობაზე გადაწყვეტია არა მხოლოდ რეგულირებულ შეთანხმებაში, არამედ რეაბილიტაციაშიც. თუკი უზრუნველყოფილი სესხის დაფარვის ოპტიმალური ნიშნული ვერ შეთანხმდა, ან ისეთი ახალი კრედიტორი ვერ იქნა მოძიებული, რომლის ხარჯზეც სრულად გადაიფარება მანამდე არსებული უზრუნველყოფილი სესხი, კომპანია უპირობოდ გაკოტრების კანდიდატია, ვინაიდან უზრუნველყოფილ კრედიტორს უპირობოდ უნარჩუნდება აღსრულების უფლება რეგულირებული შეთანხმების ან რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების მეორე დღიდანვე, თუკი თავადვე არ შეიზღუდა თავი ახალი შეთანხმებით.

მორატორიუმი ის სასუნქტი სივრცეა, რომლის ფარგლებშიც უნდა შედგეს ეფექტური მოლაპარაკება - შეთავაზება წარედგინოს კომპანიის კრედიტორებს (ინგლისურ მოდელში, ასევე, პარტნიორებს). შეთავაზების ადრესატებისთვის წარდგენას პროცედურულად ახორციელებს ზედამხედველობის კანდიდატი და არა კომპანიის მენეჯმენტი. კრედიტორთა სია, რომლითაც ხელმძღვანელობს ზედამხედველობის კანდიდატი, კანონის მოთხოვნების შესაბამისად გაწერილია კომპანიის საქმიანობის ანგარიშში. ამდენად, კრედიტორული მოთხოვნები დადგენილია გაცილებით მარტივი პროცედურის შედეგად, ვიდრე ეს რეაბილიტაციაშია.

კრედიტორთა სიის დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხმის უფლების საერთო რაოდენობის მკაფიოდ დადგენას. ნიშანდობლივია, რომ რეგულირებულ შეთანხმებაში, საბოლოო მოთხოვნების მოცულობა და შესაბამისად, ხმის უფლება დგინდება ზედამხედველობის კანდიდატის მიერ კრების თარიღის მდგომარეობით, მაშინ, როცა კრედიტორთა სია ჯერ კიდევ კომპანიის საქმიანობის ანგარიშში მიეწოდა პრაქტიკოსს. შედარებისათვის, რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმებში ხმის უფლებას მმართველი ადგენს რეჟიმის გახსნის შესახებ სასამართლოს განჩინების თარიღის მდგომარეობით (თუმცა, კრედიტორთა კრების წინა თარიღამდე კვლავ არის შესაძლებელი დაფიქსირდეს დაგვიანებული ან კორექტირებული მოთხოვნები მმართველთან, რომელიც კორექტირებას ახდენს რეჟიმის გახსნის შემდგომ განხორციელებული გაქვითვების, შესრულებული ფულადი ვალდებულებებისა თუ სხვა საფუძვლების გათვალისწინებით). რეგულირებული შეთანხმების პროცედურაში ხმის უფლების დადგენისა და გაანგარიშების პრინციპი, ძირითადად, ანალოგიურია რეაბილიტაციისა და გაკოტრების რეჟიმებისა: 1 ლარი უტოლდება 1 ხმას ვადამოსულ და ლიკვიდურ, ე.ი. ფულად ერთეულში გამოხატვად, რაოდენობრივად დადგენად მოთხოვნებზე. ხმათა გამსვლელი უმრავლესობა გაიანგარიშება კრებაზე დამსწრე, ხმის უფლების მქონე ღირებულებითი და არა რაოდენობრივი კრედიტორების ნიშნით. სწორედ ამ რაციონალით, ქართული კანონპროექტის მიხედვით, კრება უფლებამოსილია (ქვორუმი არსებობს), თუ მას ესწრება თუნდაც ერთი კრედიტორი მაინც, თუ მისი ხმის მოცულობა კრედიტორთა საერთო ხმების 50%-ზე მეტია. ინგლისურ მოდელში უფრო ლიბერალური მიდგომაა, და ქვორუმი საკმარისია მხოლოდ ერთი კრედიტორის გამოცხადების შემთხვევაში, ვინაიდან გამსვლელი ხმები აითვლება დამსწრე კრედიტორების ხმებიდან.

ხმის დათვლის პრინციპების დადგენისას, განსაკუთრებით გამოსაყოფია პირობითი და სამომავლო, ე.ი. მოცემული მომენტისთვის რაოდენობრივად დაუდგენელი მოთხოვნების განსაზღვრის საკითხი. ინგლისური მოდელით, ზედამხედველობის პრაქტიკოსი ან შესაბამისი რეჟიმის (რეაბილიტაციის ან გაკოტრების) მმართველი ვალდებულია, კრებაზე ხმის უფლების რეალიზაციის მიზნებისთვის, მოთხოვნას ავტომატურად მიანიჭოს სულ მცირე 1 ფუნტის ტოლფასი, ე.ი. 1 ხმა, თუ არ არსებობს უფრო მაღალი ნიშნულის მინიჭების დამაჯერებელი საფუძველი. ავტომატურად მინიჭებული ერთი ხმა კრებაზე დასწრებისა და შესაბამისად, ერთი ხმის მიცემის უფლებას იძლევა. თუმცა, კრედიტორის საბოლოო დაკმაყოფილების მიზნებისთვის, ნომინალურად დადგენილი მოთხოვნა მოგვიანებით ზუსტდება და ღირებულების რეალურ ნიშნულს აღწევს. მმართველისათვის მოთხოვნის დაზუსტება გაცილებით პრაქტიკულია იმ უცნობი და სამომავლო პირობის დადგომის მომენტისთვის, რომელზეც დამოკიდებული იყო კრედიტორის მოთხოვნის წარმოშობა.

ქართული კანონპროექტი ასეთი შემთხვევებისთვის მიუთითებს, რომ მმართველი, კრედიტორთა პირველადი რეესტრის შედგენისას, ასახავს ისეთ არასადავო მოთხოვნებსაც, რომელიც, მმართველის აზრით, საჭიროებს დამატებით შესწავლას. ზოგადი ჩანაწერით, კრედიტორთა რეესტრში შედის მხოლოდ ის კრედიტორული მოთხოვნები, რომელსაც მმართველი მიიჩნევს დასაბუთებულად. ამდენად, ქართულ კანონპროექტში არ გვაქვს ზედამხედველის/მმართველის მიერ სახელმძღვანელო, ავტომატური პრინციპი, რომლითაც ის პირობით ან სამომავლო მოთხოვნას მიუსადაგებდა ნომინალურ, მაგ. 1 ხმის უფლებას, კრებაზე დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით, მოთხოვნის სათანადო შეფასებამდე. კანონპროექტით გათვალისწინებული ყველა რეჟიმისთვის მოქმედებს კრედიტორთა რეესტრით დადგენილი მოთხოვნების გასაჩივრების 10 დღიანი ვადა.

ქართული მოდელისგან განსხვავებით, ინგლისურ კანონმდებლობაში, გადახდისუუნარობის რეჟიმებს შორის განსხვავებას ვხვდებით მოთხოვნების დადგენის საკითხებზე გასაჩივრების წესსა და ვადებზე. კერძოდ, კრედიტორი, რომელიც არ ეთანხმება ზედამხედველობის კანდიდატის მიერ მოთხოვნის უარყოფას ან აღიარებული ხმის უფლების მოცულობას, უფლებამოსილია კანდიდატის გადაწყვეტილება გასაჩივროს სასამართლოში, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ კრების მიერ შეთანხმების დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 თვისა. რეაბილიტაციასა და გაკოტრებაში ამგვარი საჩივრებისთვის ვადა აითვლება მმართველის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, გასაჩივრების არაუმეტეს 21 დღიანი ვადის გათვალისწინებით.

რა სარგებელი უნდა ჰქონდეს ხმის უფლების საკითხზე საჩივრის შეტანას, თუკი შეთანხმება უკვე დამტკიცებულია? სასამართლოს კომპეტენციის, დისკრეციისა და რეჟიმის მიზნების გათვალისწინებით, კრედიტორის საჩივრის დაკმაყოფილებისას, შესაძლებელია რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილების გამოტანა:

ა) კრედიტორს მიენიჭოს სასამართლოს მიერ დადგენილი ხმის მოცულობის შესატყვისი ღირებულებითი მონაწილეობა რეგულირებულ შეთანხმებაში, რაც დამტკიცებულ შეთანხმებაში ცვლილების შეტანის საფუძველია;

ბ) გაბათილდეს შეთანხმება და ზედამხედველს დაევალოს ახალი კრების მოწვევა. ნებისმიერ შემთხვევაში, საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ორი საფუძველიდან ერთ-ერთის არსებობისას: გაუმართლებელი ზიანის ან/და უხეში პროცედურული დარღვევის შემთხვევაში (დეტალურად იხ. ქვემოთ).

რეაბილიტაციაში განსხვავებული გასაჩივრების ვადა განპირობებულია იმით, რომ:



ა) ხმის უფლება დადგენილია გაცილებით ადრინდელი თარიღის მდგომარეობით, ე.ი. რეჟიმის გახსნის შესახებ განჩინების თარიღის მდგომარეობით, და

ბ) მმართველის მიერ ხმის უფლების დადგენიდან კრედიტორთა კრებამდე შუალედი სულ მცირე 3 თვეა. რეგულირებულ შეთანხმებაში კი, ხმის უფლება დგინდება კრების თარიღის მდგომარეობით და კრების შედეგების სასამართლოში წარდგენის თარიღიდან, ე.ი. უადრესი შესაძლებელი თარიღიდან აითვლება გასაჩივრების ერთ-თვიანი ვადა.

კრედიტორთა მოთხოვნების აღიარებისა და შესაბამისი ხმის უფლების მინიჭების საკითხებზე საჩივრების განხილვისას, განსაკუთრებულად აქტუალურია პირობითი და სამომავლო კრედიტორების საკითხი. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, ხმის უფლება და რეალურად დაკმაყოფილებული მოთხოვნის ოდენობა ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგ. ხმის უფლების მიზნებისთვის, კრედიტორის მოთხოვნა შეიძლება შეფასდეს 1 ფუნტად (ე.ი. მიენიჭოს 1 ხმა), მაგრამ მისი პირობითი და სამომავლო მოთხოვნის ლიკვიდური სახით რეალიზების პირობებში<sup>46</sup>, კრედიტორის დაკმაყოფილება რეალიზებული მოთხოვნის მოცულობით მოხდეს. პირობითი და სამომავლო მოთხოვნების კრედიტორების მაგალითებია მოვალის თავდები, გარანტორი ან მოვალის სასარგებლოდ უზრუნველყოფილი ისეთი ქონების მესაკუთრე, რომელიც არ არის კრედიტორის პირადი მოვალე (შემდგომში, კრებითად, 'გარანტორები'). მეიჯარის მოთხოვნები სამომავლო წლების საიჯარო ქირის ოდენობებზე ასევე მიჩნეულია სამომავლო კატეგორიის მოთხოვნად.

როგორც უკვე აღინიშნა, პირობითი და სამომავლო კრედიტორები გადახდისუნარიობის რეჟიმებში შესაბამისი კატეგორიის კრედიტორებად რეგისტრირდებიან მოთხოვნების დადგენის ეტაპზე. 'გარანტორების' შემთხვევაში, ასეთ კრედიტორებს თავად აკისრიათ პირობითი და სამომავლო ვალდებულება მოვალის ძირითად კრედიტორთან, ე.ი. თავად წარმოადგენენ არაძირითად მოვალეებს ძირითადი კრედიტორის მიმართ. ეს სარკისებურად აისახება ძირითადი მოვალის (ე.ი. რეჟიმის მოვალის) პირობით ან სამომავლო ვალდებულებებში 'გარანტორების' მიმართ. პირობითი ან სამომავლო მოთხოვნის ლიკვიდურ მოთხოვნად ქცევა დამოკიდებულია უცნობ, სამომავლო მოვლენაზე, - ძირითადი მოვალის მიერ ვადამოსული ვალდებულების შეუსრულებლობაზე (უცნობია, დაარღვევს თუ არა მოვალე ვალდებულებას), რომლის დადგომის შემთხვევაშიც, პირობითი კრედიტორი იკავებს ძირითადი კრედიტორის ადგილს და იღებს ყველა იმ სიკეთეს, რაც თავდაპირველ კრედიტორს გააჩნდა, მაგ. გაქვითვის უფლებას, უზრუნველყოფას მოვალის ქონებაზე (ასეთის არსებობისას) და სხვ.

როგორც წესი, ძირითადი ვალდებულების შესრულება იწვევს აქცესორული ვალდებულების შეწყვეტას, ე.ი. 'გარანტორების' ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. რეგულირებული შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, შეთანხმების ეფექტი ხშირ შემთხვევაში იქნება ძირითადი მოვალის ვალდებულებებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება. შეიძლება თუ არა რეგულირებულმა შეთანხმებამ (და მასთან დაკავშირებულმა მორატორიუმმა) შეზღუდოს ძირითადი კრედიტორები მათი 'გარანტორების' მიმართაც? წარმატებით დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმებით, რომლის ძალითაც ძირითადი ვალდებულება შემცირდა ან შეწყდა, შესაძლოა სრულიად დაუმსახურებლად ისარგებლონ გადახდისუნარიანმა 'გარანტორებმა'. ამგვარ ეფექტს შეუძლია გავლენა მოახდინოს ძირითადი კრედიტორის გადაწყვეტილებაზე, კრებაზე მხარი აღარ დაუჭიროს ასეთ რეგულირებულ შეთანხმებას, რათა არ დაკარგოს 'გარანტორისგან' მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება<sup>47</sup>. იგივე საკითხს რომ

<sup>46</sup> მაგ. დადას ეს სამომავლო და უცნობი მოვლენა, რომელსაც უკავშირდებოდა ლიკვიდური მოთხოვნის წარმოშობა.

<sup>47</sup> თანამსესხებლის შემთხვევაში, კრედიტორს სპეციალური შეთანხმებით შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს მოთხოვნა.

მოვალის კუთხით შევხედოთ, თუკი ძირითადი ვალდებულების შეწყვეტას არ მოჰყვება აქცესორული ვალდებულებების შეწყვეტაც, მოვალეს, ერთის მხრივ, მიეცემა შესაძლებლობა სრულად გათავისუფლდეს ძირითადი კრედიტორების მოთხოვნებისგან, მაგრამ, მეორეს მხრივ, კვლავ ვალდებული დარჩეს იდენტურ თანხებზე შესაბამისი 'გარანტორების' მიმართ. მიუხედავად კანონის ავტომატური მოქმედებისა, რეჟიმის მოვალეს, ძირითად კრედიტორსა და მათ დამზღვევ 'გარანტორებს' შეუძლიათ გადაწყვიტონ გაათავისუფლონ თუ არა ეს უკანასკნელნი თავიანთი ვალდებულებებისგან. სამართლებრივად ეს საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს 'გარანტორების' მხრიდან ძირითადი კრედიტორების მიმართ ვალის აღიარებით, რაც, თავის მხრივ, წინაპირობა იქნება ძირითადი კრედიტორის მხრიდან რეგულირებული შეთანხმების მხარდაჭერისა. ინგლისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა<sup>48</sup>, რომ კანონმდებლის მიზანია ამ საკითხის სრულად დელეგირება კონსენსუალურ პროცესზე მოვალეს, ძირითად კრედიტორებსა და გარანტორებს შორის. ამდენად, საკითხი, კონკრეტული რეგულირებული შეთანხმება, კანონის ავტომატური მოქმედების საპირისპიროდ, ათავისუფლებს თუ არა 'გარანტორებს', უნდა განიმარტოს შეთანხმების კონკრეტული პირობების განმარტებით და მხარეთა განზრახვებით. სრულიად შესაძლებელია, რომ რეგულირებული შეთანხმების ძალით, კრედიტორთა უფლებები უცვლელი დარჩეს 'გარანტორთა' მიმართ. თუ კრედიტორი არ არის თანახმა გათავისუფლდეს 'გარანტორი', მაგრამ კრებაზე კრედიტორთა უმრავლესობამ 'გარანტორი' გაათავისუფლა, კრედიტორს შეუძლია გაუმართლებელი ზიანის საფუძვლით გაასაჩივროს რეგულირებული შეთანხმება.

ქართულ რეალობაში, ძირითადი ვალის პატიებისას, სამოქალაქო კოდექსი ავტომატურად ათავისუფლებს სოლიდარულ მოვალეებს (მუხლი 449, სპეციალური დათქმის გათვალისწინებით), თავდებებსა (მუხლი 450) და უზრუნველყოფილი საგნის იმ მესაკუთრეებს, რომლებიც არ არიან კრედიტორის პირადი მოვალეები (მუხლი 299). ამდენად, საკანონმდებლო პოლისის დონეზე, რეგულირებული შეთანხმების წარმატების საჯარო ინტერესი ავტომატურად აღემატება ძირითადი კრედიტორების ინდივიდუალურ ინტერესებს. ეს ნიშნავს, რომ ძირითად კრედიტორებს, ფაქტობრივად, შესაძლებლობა არ ექნებათ გაასაჩივრონ რეგულირებული შეთანხმება მათთვის გაუმართლებელი ზიანის მიყენების საფუძვლით, რადგან 'გარანტორების' ვალდებულებისგან სპეციალურად გათავისუფლება უბრალოდ ვერ იქნება რეგულირებული შეთანხმების საგანი (ეს კანონის ძალით ისედაც უზრუნველყოფილია).

ანალიზისთვის საინტერესოა დამატებით განვიხილოთ ინგლისის პრაქტიკა იმ კორელაციის შესახებ, რომელიც არსებობს სამომავლო და პირობითი მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და რეალურ ამონაგებს (დაკმაყოფილებას) შორის. იმ პირობებში, როდესაც ძირითადი მოვალის მიმართ გახსნილია გადახდის უუნარობის რომელიმე რეჟიმი, ხოლო ამ მომენტისათვის, ძირითადი კრედიტორისთვის თანხა არ გადაუხდია არც ძირითად და არც პირობით მოვალეს, ძირითად კრედიტორს უფლება აქვს მოთხოვნა ერთდროულად წაუყენოს ორივე კრედიტორს. 'გარანტორის' მიერ ვალდებულების სრულად გასტუმრების შემთხვევაში, ძირითადი კრედიტორის პირობითი კრედიტორით ჩანაცვლება ზემოთ უკვე განვიხილეთ და დამატებით აღარ შევჩერდებით. 'გარანტორის' მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების ან კომპრომისული ცვლილების შემთხვევაში (ან, თუ, სულაც ვალის ნაწილზე იყო თავდებობა/უზრუნველყოფა იმთავითვე გაცემული), ძირითად კრედიტორს მაინც შეუძლია სრული მოთხოვნა წაუყენოს გადახდის უუნარობის რეჟიმში მყოფ ძირითად მოვალეს. ეს პრინციპი ემსახურება ვალის მაქსიმალურ ამოღებას უსაფუძვლო გამდიდრების გარეშე. კერძოდ,

<sup>48</sup> Johnson v Davies [1999] All E.R.649

გადახდისუუნარობის რეჟიმებში ვალი, როგორც წესი, სრულად ვერ იფარება. ამდენად, რაც უფრო მეტი მოთხოვნის მოცულობა (და ხმის უფლება) დაუფიქსირდება კრედიტორს, მით უფრო დიდი მასშტაბით დაიფარება მისი ვალი, დაფარვის ნებისმიერი რაციოს პირობებში (დაფარვის რაციო: 1 ლარის სანაცვლოდ 100 თეთრზე ნაკლები ნებისმიერი ოდენობა). ამასობაში, ძირითადი მოვალისგან კრედიტორის ამონაგები თუ გადაფარავს 'გარანტორის' მიერ უკვე გადახდილ თანხებს, კრედიტორი ვალდებული იქნება 'გარანტორს' დაუბრუნოს ზედმეტობა. ამდენად, მაქსიმალური მოთხოვნისა და ხმის უფლების დაფიქსირების პრინციპი რეალურად მაინც შემოსაზღვრულია იმ სამართლიანი ამონაგებით, რაც სინამდვილეში ეკუთვნის ძირითად კრედიტორს (1 ლარში 100 თეთრის ამოღება), თუმცა წარმატებით აზღვევს სამართლიანი ამონაგების თანხაზე ნაკლების მიღების რისკს გადახდისუუნარო მოვალისგან. მნიშვნელოვანია, რომ ძირითადი კრედიტორი არ არის ვალდებული ძირითად მოვალესთან მოთხოვნა წარადგინოს შემცირებული ოდენობით, ე.ი. მოთხოვნას გამოაკლოს თავდების მიერ უკვე გადახდილი თანხების ოდენობა. შესაბამისი წესები ვრცელდება გადახდისუუნარობის რეჟიმში შესული ძირითადი კრედიტორისა და 'გარანტორების' შემთხვევაში, რაც წინამდებარე კვლევის საგანს სცდება.

გაკოტრების რეჟიმში მმართველი ცდილობს რაც შეიძლება გვიან განსაზღვროს პირობითი კრედიტორის ხმის უფლება და მოთხოვნის მოცულობა (გარდა იმისა, რომ განჩინების თარიღისთვის ამ მოთხოვნის კანონიერი მინიმუმი, ხმის უფლების მიზნებისთვის ისედაც განსაზღვრულია), რადგან რეჟიმის გახსნის თარიღის შემდგომ მმართველისთვის უფრო ნათლად ირკვევა რა სტრატეგიას ირჩევს ძირითადი კრედიტორი: 'გარანტორისაგან' შეეცდება თუ არა დაკმაყოფილებას, და დაიკავებს თუ არა პირობითი კრედიტორი ძირითადი კრედიტორის ადგილს კრედიტორთა რეესტრში.

ქართულ პრაქტიკაში, 'გარანტორების' ვალდებულებებისგან გათავისუფლება მწვავე პრობლემების წინაშე აყენებს გადახდისუუნარო მოვალის ძირითად კრედიტორებს. 'ვინაიდან, მოვალე კომპანიის ლიკვიდაცია ავტომატურად იწვევსძირითადი ვალდებულების შეწყვეტას, გარანტორებიც, კანონის ავტომატური მოქმედებით, თავისუფლდებიან შესაბამისი აქცესორული ვალდებულებებისგან.

პრობლემას ამწვავეს მანკიერი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, მოვალის გადახდისუუნარობის რეჟიმის დაწყებისთანავე, 'გარანტორები' სასამართლოში ასაჩივრებენ შესაბამისი გარანტიის ხელშეკრულებებს იმ იმედით, რომ მოვალის ლიკვიდაციის დასრულებამდე შეძლებენ დავების გაჭიანურებას ზედა ინსტანციებში გასაჩივრებით. ამ პრობლემის ერთერთი დამზღვევი მექანიზმი იქნებოდა საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვა 'გარანტორებისთვის'. ეფექტური და სწრაფი მართლმსაჯულებაც, თავის მხრივ, ერთერთი გამოსავალია, რომელიც დააჩქარებდა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში ასულ დავებს (დავებს, რომელიც გადახდისუუნარობის რეჟიმის განსჯად სასამართლოებში ვედარ დაბრუნდება). რასაკვირველია, გაცილებით ეფექტური იქნებოდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის ძალითაც, გაკოტრების რეჟიმში, გარანტორების აქცესორული ვალდებულება ავტომატურად აღარ შეწყდება მოვალის ლიკვიდაციის შედეგად. ინგლისის პრაქტიკა ამ მხრივ, სასამართლოს ფართო დისკრეციასა და ეფექტურ მართლმსაჯულებას ეყრდნობა. სასამართლო უფლებამოსილია ძირითად კრედიტორს შეუნარჩუნოს აქცესორული მოთხოვნა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ასევე, საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენების ამკრძალავი ნორმები და არაკეთილსინდისიერი მოსარჩელის დამსჯელი მექანიზმები (მაგ. ხარჯების დაკისრება) გამორიცხავს დავების ხელოვნურად წამოწყებას მოვალის ლიკვიდაციის მომენტამდე პროცესის გაჭიანურების მიზნით.

როგორც უკვე აღინიშნა, რეგულირებული შეთანხმების ფორმალური პროცედურის მიხედვით, ხმის უფლებისა და მოთხოვნების დადგენის პროცესი მიმდინარეობს კრების თარიღის ჩათვლით პერიოდზე, ხოლო თავად ხმისა და მოთხოვნის მოცულობები დგინდება კრების თარიღის მდგომარეობით. ეს საშუალებას იძლევა, რომ მორატორიუმის პერიოდზე კომპანიის მართვისას შესრულებული ფულადი ვალდებულებები, გაქვითვები და ახალი ურთიერთობები მოთხოვნების საბოლოო დაზუსტებისა და დაკვალიფიცირების საფუძველი გახდეს. პრაქტიკულად, ძირითადი მასა კრედიტორების მოთხოვნებისა გაცილებით ადრეულ ეტაპზე იქნება დადგენილი, რადგან კრედიტორებისთვის გასაგზავნ პაკეტში უკვე უნდა მოიაზრებოდეს ადრესატი კრედიტორის ხმის უფლების და მოთხოვნის მოცულობა, თუმცა დაკორექტირების შესაძლებლობით, ვინაიდან საბოლოო დადგენის თარიღი - კრების თარიღია.

კრედიტორებთან კომუნიკაცია მოლაპარაკების მიზნით, ზედამხედველის პრეროგატივაა. ზედამხედველი კრედიტორებსა და პარტნიორებს უგზავნის კრების მოსაწვევს, რომელსაც თან ერთვის შეთავაზების დოკუმენტი, კანდიდატის ანგარიშის ასლი, სასამართლოს განჩინება მორატორიუმის შემოღების შესახებ (თუ შეთავაზება ითვალისწინებს მორატორიუმს), ინსტრუქცია ცვლილებების შემთავაზების წესის შესახებ და რაც მთავარია, განმარტება კრედიტორის ხმის უფლების შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ კომპანიის საქმიანობის ანგარიში არ ერთვის მოსაწვევს, თუმცა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ის რეგისტრირებულია სასამართლოში. სწორედ ამიტომ, სენსიტიური და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის მიზნით, კომპანიას ან შესაბამის დაინტერესებულ კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქმიანობის ანგარიშის სრული ან ნაწილობრივი გაუმჟღავნებლობის უზრუნველყოფა მთლიანად კრედიტორებისთვის ან მისი ნაწილისთვის. გაუმჟღავნებლობის დაკმაყოფილების საფუძველია რეგულირებული შეთანხმების მიზნის მიღწევა და გაუმართლებელი ზიანის თავიდან არიდება.

კრედიტორებს (და ინგლისურ მოდელში, ასევე პარტნიორებს) შეუძლიათ თავიანთი ცვლილებების კონტრ-შეთავაზება იმ პირობით, რომ მათი ცვლილებების პროექტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რეგულირებული შეთანხმების კანონით განსაზღვრულ არსსა და აკრძალვებს. ცვლილება შეიძლება მოიცავდეს ზედამხედველობის კანდიდატის შეცვლას.

კრებების მოწვევამდე კომპანიას, მორატორიუმის მოქმედების განმავლობაში ხელმძღვანელობს მენეჯმენტი, ზედამხედველობის კანდიდატის ზედამხედველობით. ზედამხედველობის კანდიდატს ევალება მუდმივად შეამოწმოს, ინარჩუნებს თუ არა შეთავაზება დამტკიცებისა და შესრულების გონივრულ პერსპექტივას და აქვს თუ არა კომპანიას უწყვეტი წვდომა საკმარის ფულად ნაკადებზე მორატორიუმის პერიოდზე საქმიანობის გასაგრძელებლად. ინგლისური მოდელის მიხედვით, მორატორიუმის რომელიმე ეტაპზე უარყოფითი დასკვნის გამოტანისას, პრაქტიკოსს უფლება აქვს გაიხმოს თანხმობა და ამგვარად, ავტომატურად გამოიწვიოს მორატორიუმის შეწყვეტა<sup>49</sup>. ეს უფლება საკმაოდ ეფექტურს და დამოუკიდებელს ხდის პრაქტიკოსის პროფესიას და როლს, და ამ მხრივ, აფერხებს დირექტორების მხრიდან გავლენის ბოროტად გამოყენების მცდელობას. იმის გათვალისწინებით, რომ თანხმობის გამოთხოვა საკმაოდ ეფექტური უფლებაა, რომელსაც თითქმის ყველა მხარეზე შეუძლია გავლენის მოხდენა, კანონმდებელი ამ უფლების გამოყენებას ზღუდავს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული სამი საფუძველით:

- ა) შეთავაზებას (ცვლილებებით ან მის გარეშე) აღარ აქვს დამტკიცებისა და შესრულების გონივრული პერსპექტივა;

<sup>49</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 25.

ბ) კომპანიას არ ექნება საკმარისი ფულადი სახსრები მორატორიუმის დარჩენილ პერიოდზე, და გ) დირექტორები ზედამხედველობის კანდიდატს არ აწვდიან მოთხოვნილ ინფორმაციას, რომელიც კანდიდატს ესაჭიროება კვალიფიციური შეფასების გასაკეთებლად.

ინგლისური მოდელის მიხედვით, კრედიტორთა და პარტნიორთა კრების მიერ მორატორიუმის ვადის გაგრძელების შემთხვევაში (ხოლო, კრებებს შორის უთანხმოებისას, მხოლოდ კრედიტორთა გადაწყვეტილებით), კომპანიაში შეიძლება შეიქმნას მორატორიუმის კომიტეტი მორატორიუმის ვადით, რომლის წევრებიც აირჩევა კრედიტორთა რიგებიდან. კომიტეტის ფუნქციაა ზედამხედველობის კანდიდატისთვის დახმარების გაწევა კომპანიის მენეჯმენტზე კონტროლის განხორციელების საქმეში. კომიტეტის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ზედამხედველობის კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, რომლის მიხედვითაც კანდიდატი ადასტურებს, რომ გააჩნია კომიტეტის საქმიანობის ხარჯებისთვის საკმარისი ბიუჯეტი.

ინგლისურ მოდელში, მორატორიუმის განმავლობაში კომპანიის მართვა მკაცრად კონტროლდება საკანონდებლო პოლისით. კომპანიის მიერ ქონების განკარგვის, ფულადი ვალდებულებების შესრულების და ახალი კრედიტის აღების შესაძლებლობები რეგულირებულია. კერძოდ, მიუხედავად მორატორიუმის საჯაროობისა, კომპანიას ეკრძალება ფულადი ან მასთან გათანაბრებული ვალდებულების აღება, თუკი კრედიტორს წინასწარ არ გააფრთხილებენ მორატორიუმის არსებობის შესახებ. ამ ვალდებულებებში შედის პირობადებული კონტრაქტებით საქონლის მფლობელობაში მიღებაც. ნორმა მთლიანად ემსახურება ახალი კონტრაქტები კრედიტორების დაცვას და მისი დარღვევა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

განკარგვის უფლების მხრივ, კომპანიას შეუძლია ქონების განკარგვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განკარგვით იგი სარგებელს იღებს და გარიგება მოწონებულია მორატორიუმის კომიტეტის მიერ, ან, ასეთის არარსებობისას, ზედამხედველობის კანდიდატის მიერ. შეზღუდვა არ ვრცელდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ქონების განკარგვაზე. ინგლისში ამ ვალდებულების დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს.

ის ფულადი ვალდებულებები, რომელიც კომპანიას ნაკისრი აქვს ჯერ კიდევ მორატორიუმის ამოქმედებამდე, შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული და დამაჯერებელი საფუძვლები, რომ კომპანია ამგვარი შესრულებით სარგებელს მიიღებს და ამასთან, შესრულება მოწონებულია მორატორიუმის კომიტეტის მიერ, ანდა ასეთის არარსებობისას, - ზედამხედველობის კანდიდატის მიერ. ინგლისში ამ ვალდებულების დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს.

ამ შეზღუდვაში არ ექცევა ფულადი ვალდებულებების ისეთი შესრულება, რომელიც კრედიტორებს ეკუთვნით მათ სასარგებლოდ უზრუნველყოფილი საგნის ან პირობადებული საქონლის რეალიზაციის შემოსავლებიდან. კერძოდ, მორატორიუმის პირობებში, უზრუნველყოფით დატვირთული ქონებისა და ასევე, პირობადებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიის მფლობელობაში არსებული საქონლის რეალიზაცია დაიშვება მხოლოდ შესაბამისი კრედიტორის, საქონლის მესაკუთრის ან სასამართლოს თანხმობის შემთხვევაში. თანხმობის გაცემის პირობაა რეალიზაციიდან ამონაგები ნეტ თანხების შესაბამისი კრედიტორებისთვის გადახდა.

მიუხედავად იმისა, რომ მორატორიუმის პერიოდზე აკრძალულია ზემოაღნიშნული გარიგებების კანონით დადგენილი პირობების დარღვევითა და თანხმობის გარეშე დადება (ე.ი. ახალი სესხების აღება, ქონების განკარგვა, ფულადი ვალდებულებების გასტუმრება და უზრუნველყოფით დატვირთული ქონების განკარგვა) - დარღვევებით დადებული გარიგებები ითვლება ნამდვილად და მათი ბათილობა (შეცილება) ან კომპანიის წინააღმდეგ აღუსრულებლობა დაუშვებელია. ერთადერთი ეფექტი კანონისმიერი აკრძალვებისა და

შეზღუდვებისა - კომპანიისა და მისი წარმომადგენლების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კომპანია ექვემდებარება ჯარიმას, ხოლო კომპანიის პასუხისმგებელი პირები - ასევე, ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას<sup>50</sup>.

ამის საპირისპიროდ, საგულისხმოა სამომავლო ქონებაზე დადებული გირავნობით დატვირთული საქონლის რეალიზაციის სპეციფიკა. ინგლისური მოდელით, მოგირავნე კრედიტორს ისეთივე პრიორიტეტი უჩნდება რეალიზაციიდან ამონაგებ თანხებზე, როგორც საქონელზე გააჩნდა მის რეალიზაციამდე. ამ ე.წ. მოლივლივე გირავნობის (floating charge) საგანია მუდმივად წარმოებასა და ბრუნვაში მყოფი საქონელი ან მისი რეალიზაციიდან ამონაგები თანხები. სამომავლო ქონებაზე გირავნობის მთელი სიკეთე იმაშია, რომ მოვალეს თავისუფლად შეუძლია განკარგოს როგორც საქონელი, ისე მიღებული ამონაგები, თუმცა მხოლოდ გირავნობის კრისტალიზაციის მომენტამდე (დეტალურად, იხ. ქვემოთ). ე.ი. თუკი, გირავნობის უფლების კრისტალიზაციის ან რეალიზაციის მომენტისთვის, კომპანიაში არც ფულია და არც საქონელი, კრედიტორის დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდება. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას ან გადახდისუუნარობისას, ასეთი გირავნობის ხელშეკრულებები (გარკვეულ შემთხვევებში, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებიც) ითვალისწინებს გირავნობის ე.წ. კრისტალიზაციას, ე.ი. იმ საქონლის ან ფულის ოდენობის დაფიქსირებას, რა მომენტისთვისაც, კრისტალიზების ქვეშ მოქცეული საქონელი/ფული იქცევა ფიქსირებული გირავნობის საგნად, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობა წყვეტს გავრცელებას. ნიშანდობლივია, რომ რეგულირებული შეთანხმების მიზნებისთვის, ინგლისის გადახდისუუნარობის კანონი კრძალავს კრისტალიზაციას მორატორიუმის პერიოდზე<sup>51</sup>. კრისტალიზაციაზე ნებართვის გაცემის უფლება არ აქვს არც ზედამხედველს და არც სასამართლოს<sup>52</sup>. ეს ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია დაუკრისტალიზებელი (ე.ი. მოლივლივე გირავნობის ქვეშ მყოფი) ქონება გაყიდოს თავისუფლად, მიიღოს შემოსავლები, დახარჯოს ამონაგები თანხები და ა.შ. კრისტალიზება შესაძლებელია მხოლოდ მორატორიუმის ამოწურვის შემდეგ. წესების ამგვარი წყობა მისადაგებულია ბიზნესის ბუნებრივ ინტერესებთან და შესაძლებლობებთან. საბრუნავი საშუალებების წარმოება და რეალიზაცია კომპანიისთვის სასიცოცხლოა, ამდენად, ამ წყაროს მოსპობა გაუმართლებელი იქნებოდა, ვინაიდან ფულადი ნაკადების მოძრაობას დააბრკოლებს.

მორატორიუმი ავტომატურად სრულდება ვადის ამოწურვისას, ხოლო მანამდე მოწვეული კრება შეიძლება გადაიდოს განუსაზღვრელი რაოდენობით რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მორატორიუმი ვადამდე წყდება, თუკი კრედიტორთა კრება ვადის ამოწურვამდე მიიღებს გადაწყვეტილებას შეთანხმების დამტკიცება-არდამტკიცების თაობაზე.

ინგლისური მოდელით, მორატორიუმის ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია ასევე:

- ა) კრედიტორთა კრების სპეციალური გადაწყვეტილებით მორატორიუმის შეწყვეტის შესახებ;
- ბ) ზედამხედველობის კანდიდატის მიერ ზედამხედველობის განხორციელებაზე თანხმობის გამოთხოვით, ან
- გ) ზედამხედველობის კანდიდატის ან დირექტორის ქმედებების გასაჩივრებისას, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

<sup>50</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 15.

<sup>51</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 13

<sup>52</sup> ეს განსხვავდება ფიქსირებული იპოთეკისა და გირავნობისგან, რა დროსაც, სასამართლოს შეუძლია მორატორიუმის მოხსნა კონკრეტული კრედიტორის სასარგებლოდ.

## 6.2. შეთანხმების დადების ეტაპი

### რეგულირებული შეთანხმების დამტკიცება

ზედამხედველობის კანდიდატი იწვევს კრედიტორთა და პარტნიორთა კრებებს და კენჭისყრაზე წარადგენს შეთავაზებას რეგულირებულ შეთანხმების შესახებ. შეთანხმება შეიძლება დამტკიცდეს კრედიტორებისა და პარტნიორების მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით ანასეთი ცვლილებების გარეშე.

ზოგადად, კრედიტორთა კრების კომპეტენციის სპექტრი ასე გამოიყურება: კრებას შეუძლია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

- ა) რეგულირებული შეთანხმების დამტკიცება ან უარი დამტკიცებაზე;
- ბ) მორატორიუმის ვადის გაგრძელება;
- გ) მორატორიუმის ნაადრევად შეწყვეტა;
- დ) მორატორიუმის კომიტეტის შექმნა მორატორიუმის ვადის გაგრძელებისას (ინგლისური მოდელით);
- ე) ზედამხედველობის კანდიდატის დაგეგმილი ქმედებების გათვალისწინებით, მისი მომსახურების საფასურის ოდენობის დამტკიცება.

ინგლისური მოდელის მიხედვით, იდეალურ პირობებში, CVA-დამტკიცებულად ითვლება, თუ ორივე კრება, შესაბამისი უმრავლესობით დაამტკიცებს შეთავაზებას. კერძოდ, გამსვლელი უმრავლესობებია: ა) კრედიტორთა კრების 75%-ზე მეტი ხმა, რომელშიც ამავდროულად უნდა შედიოდეს კომპანიასთან არადაკავშირებული კრედიტორების 50%-ზე მეტი ხმა და ბ) პარტნიორთა კრების 50%-ზე მეტი ხმა. თუმცა, პარტნიორთა კრების მიერ შეთავაზების უარყოფა ხელს არ უშლის შეთანხმების დამტკიცებას ექსკლუზიურად კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების ძალით.

2000 წლის რეფორმამდე, ინგლისში, პარტნიორთა კრება ფაქტობრივად ვეტოს უფლებით სარგებლობდა, ვინაიდან მისი დამტკიცების გარეშე შეთანხმება არ ითვლებოდა დადებულად. რეფორმის შემდეგ, პარტნიორთა ვეტოს უფლება გაუქმდა, თუმცა, პარტნიორებს მიეცათ კრედიტორთა კრების შედეგების გასაჩივრების უფლება, რომლის წარმატებით განხორციელების სამართლებრივი ეფექტია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით კრედიტორთა კრების გადაწყვეტილების ჩანაცვლება. გასაჩივრების უფლება შეზღუდულია *გაუმართლებელი ზიანის* (unfair prejudice) საფუძვლის დამაჯერებელი დასაბუთებით. კერძოდ, კომპანიის იმ პარტნიორს, რომელიც თვლის, რომ გაუმართლებელი ზიანი მიადგა, შეუძლია, მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რომ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება შეიცვალოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. გასაჩივრების ვადაა 28 დღე კრედიტორთა კრების თარიღიდან, ხოლო თუ პარტნიორთა კრება კრედიტორთა კრებაზე გვიან გაიმართა, მაშინ, - ამ კრების თარიღიდან. სასამართლოს შეუძლია პარტნიორთა გადაწყვეტილებით ჩანაცვლოს კრედიტორთა გადაწყვეტილება. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს კრებებს შორის კონფლიქტის კანონისმიერ დაბალანსებას. კერძოდ, როდესაც ზედამხედველმა, კრედიტორებმა, პარტნიორებმა და დირექტორებმა წინასწარ იციან კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები, ყოველი მხარე მომართული იქნება გაუმართლებელი ზიანის რისკის წინასწარ დაზღვევაზე, შეთავაზების დაგეგმვის საწყისი ეტაპიდანვე.

ქართული კანონპროექტის დღეს არსებული რედაქციით, პარტნიორთა კრებას ვეტოს უფლება აქვს, რადგან რეგულირებული შეთანხმების შეთავაზება პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობის გარეშე ვერ ხორციელდება. ინგლისური ვერსიის მიხედვით, დირექტორი არ არის ვალდებული შეთავაზება განახორციელოს პარტნიორთა აუცილებელი, კანონისმიერი თანხმობით, თუკი ეს პირდაპირ არ არის წესდებით გათვალისწინებული. ამდენად, პარტნიორების მხრიდან დირექტორის წინასწარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ წესდებით.

პარტნიორთა კრების ვეტოს უფლების გაუქმებას პრაქტიკული სარგებელიც გააჩნია: კრების მოსაწვევთან ერთად, რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების კრედიტორებისთვის გაგზავნისას, კრედიტორებს აქვთ ცვლილებების პაკეტის შემოთავაზების უფლება. ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ცვლილების მიღება მოვალის მხრიდან, ქართულ კანონპროექტში მკაფიოდ გაწერილი არ არის, მაგრამ თავდაპირველი შეთავაზების განხორციელების ანალოგიით, ეს საკითხი კვლავ პარტნიორების ხმათა 50%-ზე მეტის კომპეტენციაში ექცევა. თუკი პარტნიორთა კრება არ მიიღებს ასეთ ცვლილებებს, ე.ი. ძალაში დატოვებს თავდაპირველ შეთავაზებას, ხოლო კრედიტორები მზად არიან მხარი დაუჭირონ ცვლილებებით დაკვალიფიცირებულ პროექტს, რეგულირებული შეთანხმების პერსპექტივა ჩაიშლება, რადგან პარტნიორთა კრების ხმათა ნახევარზე მეტს სრული კონტროლი აქვს რეგულირებული შეთანხმების შეთავაზების პირობებზე. სწორედ ეს კონტროლი უნდა იქნეს გადატანილი ფიდუციურად მოქმედ დირექტორზე და კრებებს შორის უფლებების დაბალანსებაზე. კერძოდ, დირექტორმა, ზედამხედველთან ერთად უნდა გადაწყვიტოს როგორი პროექტი გაიტანოს კენჭისყრაზე, ცვლილებებით, თუ ცვლილებების გარეშე. პროფესიონალი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი, რომელიც წინასწარ ჭკრეტს დამტკიცებული შეთანხმების გასაჩივრების შანსებსა და სუბიექტებს, რეალურად ეცდება ისეთი რეგულირებული შეთანხმების პროექტზე გასცეს მოქმედების თანხმობა და დადებითი ანგარიში, რომელიც ამგვარი რისკების წარმატებით გადალახვას შეძლებს.

დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმების შესახებ ზედამხედველობის კანდიდატი ანგარიშს უგზავნის სასამართლოს, ხოლო ინგლისში ასევე, სამეწარმეო რეესტრს.

რეგულირებული შეთანხმების სამართლებრივი ეფექტის მიზნებისთვის, შეთანხმება დადებულად ითვლება კომპანიის მიერ იმ მომენტში, როცა კრედიტორთა კრებამ მხარი დაუჭირა შეთანხმებას.

ინგლისური მოდელით, დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმება სავალდებულოა არა მხოლოდ იმ კრედიტორებისთვის, ვისაც მოსაწვევი გაეგზავნა, არამედ მათთვისაც, ვისაც არ გაეგზავნა (ძირითადად, უცნობი კრედიტორები)<sup>53</sup>. შეთანხმება ყველა ზემოხსენებულ პირს ბოჭავს, როგორც ხელშეკრულების მხარეს.

ამგვარი რეგულირება თითქოს არღვევს ბუნებით სამართლიანობას, თუმცა მისი რაციონალი გაცილებით მაღალი რისკის დაზღვევაშია: უცნობ კრედიტორებს არ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა უარყოფითი გავლენა მოახდინონ სხვაგვარად გამართლებულ და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან რეგულირებულ შეთანხმებაზე. ამდენად, დამტკიცებული შეთანხმების სამართლებრივი ეფექტის მათზე გავრცელება აზღვევს ამგვარი უცნობი კრედიტორების შეუბოჭველობის რისკებს. როგორც წესი, სავალდებულოა, რომ პრაქტიკოსმა მისთვის ცნობილ ყველა კრედიტორს გაუგზავნოს მოსაწვევი, მაგრამ თუკი მოსაწვევი არასწორ მისამართზე გაიგზავნა, ან კრედიტორი მოგვიანებით გამოვლინდება, ან თუ პრაქტიკოსს ადამიანური

<sup>53</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 37



შეცდომით გამორჩება მოსაწვევის გაგზავნა, უფრო გამართლებულია ამგვარი კრედიტორის შეთანხმებით შეზღუდვა, ვიდრე მისი შეთანხმების ეფექტის მიღმა დატოვება და ამ გზით, მისი მოთხოვნის სრულად შენარჩუნება კომპანიის მიმართ. ვინაიდან, პრაქტიკოსმა იცის, რომ ასეთ კრედიტორს შეუძლია გააბათილოს რეგულირებული შეთანხმება გაუმართლებელი ზიანის ან პროცედურის უხეში დარღვევის საფუძველით, ის მაქსიმალურად შეეცდება აირიდოს და დააზღვიოს ამგვარი რისკები.

ქართულ კანონპროექტში სრულიად საპირისპირო პოზიცია გვაქვს. დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმება უცნობი კრედიტორებისა და იმ კრედიტორებისთვის, რომელთაც მოსაწვევი არ გაეგზავნათ, სავალდებულო არ ხდება. ამდენად, მათი მხრიდან დაგვიანებით წარმოდგენილი მოთხოვნები კვლავ მთლიანად რჩება შესასრულებელი კომპანიის მიერ. ე.ი. კანონპროექტით, ასეთ კრედიტორებს მაინც ეძლევათ შეთანხმების გასაჩივრების უფლება მიუხედავად იმისა, რომ ისინი კონტრაქტის მხარეები სამართლებრივად არ ხდებიან. ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდებულია, რომ შეთანხმება სავალდებულო გახდეს ამგვარი კრედიტორებისთვისაც. სხვა მხრივ, ახლად გამოვლენილი მოთხოვნების ასახვის საფუძველით, შეთანხმების გადასინჯვის შეუძლებლობის შემთხვევაში (ადმინისტრაციული ხარჯებისა თუ სირთულის გამო), დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმება შესაძლოა დარღვევის რისკის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან უცნობი, ე.ი. არმოწვეული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება დადგება დღის წესრიგში..

### 6.3. რეგულირებული შეთანხმების შესრულება

პრაქტიკაში, რეგულირებული შეთანხმება 3-დან 5 წლამდე ვადით იდება. შესრულების ეტაპზე მენეჯმენტი კვლავ მართვაში რჩება, თუმცა ზედამხედველის ფუნქციები გაცილებით ეფექტური ხდება, ვინაიდან, კანონის ძალით, ის მოიპოვებს უშუალო წვდომას კომპანიის ყველა აქტივზე. დამტკიცებული შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება (მათ შორის, უმთავრესად, ფულადი ვალდებულებების გასტუმრება) ხომ ზედამხედველის პასუხისმგებლობაა.

მოვალის მხრიდან შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, ორი განსხვავებული მიმართულება ჩნდება:

- 1) რეგულირებული შეთანხმება უნდა გადასინჯოს (დამტკიცებისათვის განკუთვნილი პროცედურით), თუკი დარღვევის გამოსწორება შესაძლებელია პირობების ოპტიმალური ცვლილებით, ან
- 2) ზედამხედველი მიმართავს სასამართლოს გაკოტრების განცხადებით.

შესრულების შემდგომ, ზედამხედველი შესრულების შესახებ ანგარიშს უგზავნის კრედიტორებსა და სასამართლოს.

განსაკუთრებით გამოსაყოფია რეგულირებული შეთანხმების სრულად შესრულებისა და მისი არასრულად შესრულების, ე.ი. ინგლისური საკანონმდებლო ენით, შეთანხმების ნაადრევად შეწყვეტის ინსტიტუტები. სრულად შესრულებაზე დამატებითი ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

არასრულია ისეთი შესრულება, ე.ი. ითვლება, რომ რეგულირებული შეთანხმება ნაადრევად შეწყდა, თუკი შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად არ შესრულებულა იმ კრედიტორების მიმართ, რომელთაც კრების მოსაწვევი გაეგზავნათ და ამდენად, ხმის უფლება

ჰქონდათ (მიუხედავად, მათი კრებაზე დასწრება-არდასწრებისა)<sup>54</sup>. ნაადრევად შეწყვეტა, ამ მხრივ, გამორიცხავს ვადაზე ადრე სრულად შესრულების შემთხვევას.

ეს ნიშნავს, რომ რეგულირებული შეთანხმება მაინც სრულად შესრულებულად ითვლება, თუკი შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ შესრულებულა იმ კრედიტორების მიმართ, რომელთაც მოსაწვევი არ გაეგზავნათ (და რომელთაც ხმის უფლება ექნებოდათ, მათთვის რომ მოსაწვევი გაეგზავნათ) და რომელთათვისაც შეთანხმება მაინც სავალდებულო გახდა ავტომატურად. ნაადრევად შეწყვეტის შემთხვევებში, კომპანია ასეთი კრედიტორების მიმართ ვალდებულია იმ თანხების ფარგლებში, როგორც ეს რეგულირებული შეთანხმებით იყო გათვალისწინებული, ხოლო ვალდებულების წარმოშობის მომენტად (ხანდაზმულობის მიზნებისთვის) ითვლება შეთანხმების ნაადრევად შეწყვეტის თარიღი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შეთავაზება შეიძლება ითვალისწინებდეს, და როგორც წესი, ითვალისწინებს უცნობი და კრებაზე არ მოწვეული კრედიტორებისთვის დაკმაყოფილების კონკრეტულ რაციოს. ზემოთ როგორც უკვე აღინიშნა, ასეთ კრედიტორებს, ასევე, აქვთ რეგულირებული შეთანხმების გასაჩივრების უფლება.

ინგლისური მოდელით, რეგულირებული შეთანხმების დამტკიცების ეფექტია ასევე რომელიმე კრედიტორის მიერ კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი და მორატორიუმის ძალით შეჩერებული გაკოტრების განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. თუმცა, სასამართლოს შეუძლია უარი არ თქვას გაკოტრების განცხადების დაკმაყოფილებაზე მანამ, სანამ არ ამოიწურება რეგულირებული შეთანხმების კანონისმიერი გასაჩივრების 28 დღიანი ვადა. ვადა აითვლება ზედამხედველის მიერ კრედიტორთა კრების ანგარიშის სასამართლოში წარდგენის დღიდან. გარდა აღნიშნული ვადისა, სასამართლოს მოუწევს ასევე დაელოდოს აღნიშნული საჩივრების აპელაციასა და კასაციამი განხილვების პერიოდის ამოწურვასაც.

## 7. რეგულირებული შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლები და პრაქტიკა

რეგულირებული შეთანხმების გასაჩივრების უფლება აქვს სამ კატეგორიაში შემავალ პირთა წრეს:

- ა) ხმის უფლების მქონე პარტნიორს ან კრედიტორს (ე.ი. კრებაზე მოწვეულ პირებს);
- ბ) იმ კრედიტორს ან პარტნიორს, რომელსაც ხმის უფლება ექნებოდა, კრებაზე რომ მოეწვიათ; და
- გ) ზედამხედველობის კანდიდატს.

სასამართლოსთვის მიმართვის მხოლოდ ორი კანონისმიერი საფუძველი არსებობს, - გაუმართლებელი ზიანისა და არსებითი პროცედურული დარღვევის საფუძვლები<sup>55</sup>. თითოეული განვიხილო დეტალურად:

- 1) გაუმართლებელი ზიანის საფუძვლით შეტანილი საჩივრის მიხედვით, ძალაში შესული რეგულირებული შეთანხმება გაუმართლებელ ზიანს აყენებს კრედიტორის ან პარტნიორის ინტერესებს.

<sup>54</sup> Insolvency Act 1986, Pt 1, s.7B

<sup>55</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para 38.

ინგლისის სასამართლოს პრაქტიკით, ეს კომპლექსური საზომია, ვინაიდან მომჩივანს მოეთხოვება როგორც ზიანის, ისე მისი 'უსამართლობის', 'გაუმართლებლობის' მტკიცება. სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკა, ამ მხრივ, მოსამართლეების მიერ შეჯამებულია ორ გადაწყვეტილებაში: SISU Capital Fund Ltd v Tucker [2006] და Prudential Assurance Co Ltd v PRG Powerhouse Ltd [2007]. პრაქტიკა ასე გამოიყურება:<sup>56</sup>

- მომჩივანს ეკისრება მტკიცების ტვირთი აჩვენოს, რომ დამტკიცებული შეთანხმება გაუმართლებლად აზიანებს მის ინტერესს/ზიზნებს;
- გაუმართლებელი ზიანი უშუალოდ უნდა მომდინარეობდეს შეთანხმების პირობებიდან;
- მომჩივანს ზიანი უნდა ადგებოდეს, როგორც მოვალე კომპანიის კრედიტორს, და არა როგორც სხვა სტატუსის მქონე პირს;
- 'გაუმართლებლობის, უსამართლობის' რაიმე უნივერსალური საზომი არ არსებობს. ყოველი ცალკეული შემთხვევა ყველა ფაქტისა და გარემოების ფონზე უნდა შეფასდეს, განსაკუთრებით კი, უნდა შეფასდეს შეთანხმების შესაძლო ალტერნატივები და მათგან გამომდინარე შესაძლო გადაწყვეტილებების დამტკიცების ან უარყოფის პრაქტიკული შედეგები;
- საწყის წერტილად მიჩნეულ უნდა იქნეს დამტკიცებული შეთანხმების შედარება გაკოტრების მინიმუმთან, თუმცა ეს ყოველთვის გადაამწყვეტი ვერ იქნება გაუმართლებელი ზიანის დასადგენად. ამდენად, აუცილებელია, რომ დამტკიცებული შეთანხმების შედეგები უფრო დიდ კონტექსტში შეფასდეს, მათ შორის, კრედიტორების განსხვავებული დაკმაყოფილების კუთხითაც;
- კრედიტორების განსხვავებული დაკმაყოფილებაც, ცალკე აღებული ვერ იქნება საკმარისი გაუმართლებელი ზიანის დასადგენად, თუკი არსებობს მაკომპენსირებელი არგუმენტები, მაგ. სავაჭრო კრედიტორების სრულად დაკმაყოფილების გარეშე კომპანია საქმიანობას ვეღარ განაგრძობდა;
- სასამართლო არაა ვალდებული სპეკულაციურად იმსჯელოს და შეაფასოს, დირექტორების მიერ წარმოდგენილი შეთავაზება, რომლის მიღწევაც შეიძლებოდა, იყო თუ არა 'საუკეთესო'. მაგალითად, იქნებოდა თუ არა უკეთესი, დირექტორს შეთავაზებაში არ გაეთვალისწინებინა ყველა ის პირობა, რაც რეალურად გაითვალისწინა. სასამართლო შედარებას ახორციელებს შემოთავაზებულ კომპრომისულ შეთავაზებასა და საერთოდ შეთავაზების განუხორციელებლობას შორის, კენჭისყრის დღისთვის კომპანიაში არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. სასამართლომ აღარ უნდა იმსჯელოს დამტკიცდებოდა თუ არა სხვა ალტერნატიული გადაწყვეტილება ან იქნებოდა თუ არა ის შესრულებადი, თუკი დირექტორი წარმოადგენს შეთავაზებას, რომელიც მას სამართლიანად (გამართლებულად) მიაჩნია, მანამ სანამ არ დამტკიცდება რომ დირექტორი არ მოქმედებდა კეთილსინდისიერად, ან იყო მიკერძოებული რომელიმე კონკრეტული კრედიტორების ინტერესებისადმი;
- ერთ-ერთი ფართო საზომი, რომელსაც სასამართლო წარმატებით იყენებს, გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანის ტესტია. კერძოდ, თუკი მომჩივანის ადგილას, გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანი გონივრულად მხარს დაუჭერდა გასაჩივრებულ რეგულირებულ შეთანხმებას, მაშინ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

<sup>56</sup>Ian F. Fletcher, *The Law of Insolvency*, (Fourth Edition, London, Sweet & Maxwell 2009) გვ. 499-500.

2) დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმების გასაჩივრების მეორე საფუძველია პროცედურის არსებითი დარღვევა. კერძოდ, შესაბამისი კრება მოწვეული ან ჩატარებული იქნა მნიშვნელოვანი (არსებითი) პროცედურული დარღვევით, რამაც გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაზე. არსებით დარღვევად არ ჩაითვლება, თუ კრედიტორს ან პარტნიორს კრების მოსაწვევი არ გაეგზავნა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი პირის ხმის უფლებას შეეძლო კრების გადაწყვეტილების შეცვლა<sup>57</sup>. ინგლისის სასამართლოს პრაქტიკით, ე.წ. არსებითი მანსის საზომით ფასდება პროცედურის არსებითი დარღვევის თავიდან არიდების საკითხი. თუ სასამართლოსთვის დამაჯერებლად იქნება დასაბუთებული, რომ პროცედურის დაცვის პირობებში, არსებობდა განსხვავებული გადაწყვეტილების რეალური პერსპექტივა (real prospect or substantial chance), სასამართლო გააუქმებს კრების გადაწყვეტილებას და ახალი კრების მოწვევის განჩინებას გამოსცემს.

გასაჩივრების ვადები 1 თვეა (ინგლისური მოდელით, 28 დღე) სასამართლოში კრების ანგარიშის წარდგენიდან, ხოლო იმ პირთათვის, რომელთაც მოსაწვევი არ გაეგზავნათ, - კრების შედეგების შესახებ შეტყობის მომენტიდან.

ქართული მოდელით, სასამართლო 30 დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას რეგულირებული შეთანხმების გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ.

ინგლისური მოდელით, სასამართლოს კომპეტენციის სპექტრი გაცილებით ფართოა. სასამართლოს შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება<sup>58</sup>:

ა) დამტკიცებული შეთანხმების გაუქმება ან შეჩერება; ნებისმიერი სხვა პროცედურული გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც არსებითი დარღვევით იქნა მიღებული;

ბ) ნებისმიერი პირისთვის დავალების მიცემა, რომ მოამზადოს და მოიწვიოს პარტნიორთა ან კრედიტორთა ახალი კრება, შესაბამისი დღის წესრიგით. მაგ. გადასინჯული შეთანხმების შეთავაზება დირექტორების მიერ, ან იგივე შეთავაზების ხელახლა გატანა პროცედურული დარღვევების გარეშე მოწვეულ ან ჩატარებულ კრებებზე; ასეთი დავალებების გაცემისას, სასამართლოს შეუძლია განაახლოს მორატორიუმი მის მიერ განსაზღვრული ვადით. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორები დადგენილ ვადაში კრებებს არ შესთავაზებენ გადასინჯულ შეთავაზებას, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს დავალება და ძალაში დატოვოს დამტკიცებული შეთანხმება, ან პირიქით, გააუქმოს ან შეაჩეროს დამტკიცებული რეგულირებული შეთანხმება;

გ) ზოგადი, ფართო დისკრეციის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია ისეთი დავალებების გაცემა, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია. მაგ. იმ გარიგებებისა და ქმედებების სამართლებრივი შეფასება ან მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, რომელიც გასაჩივრებული (ძალაში შესული) გადაწყვეტილების საფუძველზე უკვე განხორციელდა, და რომელიც ვერ განხორციელდებოდა კომპანიის მიმართ მორატორიუმის მოქმედების პირობებში.

<sup>57</sup> Re A Debtor [1992] 1 WLR 226

<sup>58</sup> Insolvency Act 1986, Schedule A1, para. 38 (4)

## 8. CVA-ს ნაკლოვანებები და უპირატესობები

ვინაიდან რეგულირებული შეთანხმება ქართული გადახდისუნარობის სისტემისთვის სრულიად ახალი ინსტიტუტია, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას CVA-ს როგორ უპირატესობებს, ასევე ნაკლოვანებებს რათა დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელი გახდეს პროცედურის პრაქტიკაში გამოყენებისთვის მომზადება და, შესაბამისად, მომავალი საქმიანობის პროგნოზირებად გარემოში დაგეგმვა.

უმეტეს შემთხვევებში, ფინანსურ კრიზისში მყოფი კომპანიისათვის შესაძლებელია CVA უფრო მომგებიანი იყოს ვიდრე რეაბილიტაცია ან გაკოტრება, სწორედ ამ შესაძლებლობის შეძლებისდაგვარად სრულყოფილად შესაფასებლად აუცილებელია ვიცოდეთ ახალი ინსტიტუტის უპირატესობები და განსაკუთრებით კი ნაკლოვანებები.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის 2018 წლის 31 მაისის მიმოხილვის<sup>59</sup> მიხედვით CVA-ს ახასიათებს შემდეგი პოტენციური უპირატესობები:

- არ არის საჭირო გადახდისუნარობის ფაქტის მტკიცება, შესაბამისად ქმედებები შესაძლოა დაიწყოს უკვე ფინანსური კრიზისის პირველივე ნიშნებზე;
- CVA არის მოქნილი მექანიზმი, კომპანიასა და კრედიტორებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირება შესაძლებელია თავისუფალ რეჟიმში;
- CVA-ს აძლევს შესაძლებლობას პატარა და ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიან კომპანიას, რომელსაც აქვს კარგი ბიზნეს მოდელი და შეკვეთების სია, მაგრამ განიცდის „დროებით“ ფინანსურ სიმწელებებს და იმყოფება კრედიტორების ზეწოლის ქვეშ, გამოიყენოს 28 დღიანი მორატორიუმი (ამოსუნთქვის საშუალება) ბიზნესის გადასარჩენად. ეს ნებაყოფლობითი მორატორიუმი არ არის ხელმისაწვდომი დიდი კომპანიებისათვის;
- CVA აძლევს დროს კომპანიებს, რათა მათ მოახდინონ რეორგანიზაცია-რესტრუქტურირაცია (მომხმარებლებთან კავშირის წყვეტის გარეშე). CVA აძლევს შესაძლებლობას საწყის ეტაპზე ვაჭრობაში სირთულეების მქონე კომპანიებს, რომ მათ დაამტკიცონ თავისი ბიზნეს მოდელის მართებულობა (ასევე უნარჩუნებს კომპანიას სავაჭრო ისტორიას);
- CVA ფარგლებში კომპანიის ძირითადი ბიზნესი განაგრძობს არსებობას და მოაქვს შემოსავალი;
- CVA არ ითვალისწინებს სასამართლოს ჩართულობას, ამიტომ ზოგადად უფრო იაფი პროცედურაა, ვიდრე სხვა ფორმალური გადახდისუნარობების პროცედურები;
- CVA არიდებს კომპანიას სტიგმას, ვინაიდან პროცესი ამ ეტაპზე არ საჯაროვდება;
- შეთავაზების თვალსაზრისით, CVA მტკიცდება 75% ხმებით (რომელთა 50%-ზე მეტი უნდა იყოს მოვალესთან არადაკავშირებული კრედიტორი) და ვრცელდება იმ დანარჩენ კრედიტორებზეც, რომელთაც არ დაუჭირეს მხარი. CVA-ს შეთანხმება ძალაშია იმ კრედიტორების მიმართაც, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო არ იცოდნენ CVA-ს შესახებ;
- უზრუნველყოფილი კრედიტორები, ზოგადად, CVA-ს გარეთ არიან და შესაბამისად როგორც წესი მხარს უჭერენ მოვალეს;

<sup>59</sup> <https://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/SN06944#fullreport>

- CVA შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპანიის მიერ ბიზნესის დახურვის მიზნით. CVA არის ხარჯთ-ეფექტური მეთოდი ფორმალური ლიკვიდაციის თავიდან ასარიდებლად.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ესენია:

- CVA არ აძლევს კრედიტორებს კომპანიის საქმეების სრული გამოკვლევის საშუალებას;
- CVA-ს ზედამხედველი ვერ იწყებს საცილო ქმედებებზე დავებს (თაღლითურ და უკანონო ქმედებებზე, ასევე უპირატესობის მინიჭებასა და ქონების გადამალვაზე);
- ნებისმიერ კრედიტორი, რომელიც ფლობს მოთხოვნების 25% ან მეტს, არის ძლიერ პოზიციაში, ზეგავლენა იქონიოს CVA-ს პირობებზე;
- CVA-ს პირობებში ბიზნესი აგრძელებს მოქმედებას. თუმცა შესაძლოა მიმწოდებლებმა არ მოისურვონ თუნდაც მოკლევადიანი კრედიტების გაცემა, რაც გამოიწვევს ფულადი ნაკადების პრობლემებს. შესაძლოა საჭირო გახდეს სავაჭრო პირობებზე ხელახლა მოლაპარაკება, რათა უზრუნველყოთ კომპანიის შემოთავაზების მხარდაჭერა;
- კრედიტორებმა, (ფინანსური ინსტიტუტები), შესაძლოა არ მოინდომონ CVA-ში მონაწილეობა და შეწყვიტონ ხელშეკრულებები;
- ზოგჯერ CVA-ს ჩავარდნა გამოწვეულია ძალიან მაღალი მოლოდინებითა და კრედიტორთა მიერ მეტისმეტად მკაცრი პირობების დაწესებით;
- მთავარი შეზღუდა არის მორატორიუმის მხოლოდ მცირე კომპანიებზე გავრცელება, რა მიზეზითაც ზოგჯერ ხდება CVA-სა და რეაბილიტაციის ერთდროულად გამოყენება, როგორც ეს მოხდა საქმეში *JCAM Commercial Real Estate Property XV Ltd v Davis Haulage Ltd* [2018] 1 WLR 24 . აღნიშნულ საქმეში კომპანიის დირექტორს სურდა CVA-დაწყება, თუმცა რადგან ეს კომპანია არ განეკუთვნებოდა მცირე კომპანიების რიცხვს, მას არ ექნებოდა CVA-ს მორატორიუმი. მორატორიუმის მისაღებად დირექტორმა ორი თვის განმავლობაში ზედიზედ ოთხჯერ შეიტანა განცხადება რეაბილიტაციის პროცედურის დაწყების შესახებ, რითაც შეძლო ოთხჯერ გამოეყენებინა ამ განცხადების თანმდევი 10 დღიანი შუალედური მორატორიუმი. პარალელურად დირექტორმა მოამზადა შეთავაზება და საბოლოოდ რეაბილიტაციის ნაცვლად დაიწყო CVA-ს პროცედურა.

## 9. პრაქტიკული რეკომენდაციები

ა) CVA-ს შეთანხმებაში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს რომელიმე მხარის მიერ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში ყველა კომპრომისის გაუქმების პირობა. საქმეში *Write and Another (liquidators of SHB Realisation LTD) The prudential Assurance Company LTD*<sup>60</sup> შეთანხმებამ განსაზღვრა, რომ მოვალის კონკრეტული მეიჯარეები მიიღებდნენ იჯარიდან წარმოშობილი თანხების მხოლოდ ნაწილს. ასე რომ სანამ CVA ძალაში იყო, აღნიშნული მეიჯარეები იღებდნენ მხოლოდ იჯარის შემცირებულ გადასახადს. თუმცა CVA-ს შეწყვეტისთანავე ძალაში შევიდა შეთანხმებული კომპრომისებისა და შეღავათების გაუქმების პირობა, ისე თითქოს ეს კომპრომისები და შეღავათები არც არსებობდა. ამის შემდეგ ყველა მეიჯარეს და ასევე სხვა კრედიტორებს წარმოეშვათ მოვალის მიმართ მოთხოვნები, რომელიც არსებობდა CVA-ს

<sup>60</sup> [2018] EWHC 402 (Ch)



დამტკიცებამდე (იმ თანხების გამოკლებით, რომლის გადახდაც მოხდა CVA-ს განხორციელების დროს) .

ბ) გაურკვევლობებისა და კანონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, შეთანხმებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შეწყვეტის რაც შეიძლება დახვეწილი და სრულყოფილი მექანიზმი. მაგალითად, საქმეში Write and Another (liquidators of SHB Realisation LTD) v The prudential Assurance Company LTD, CVA-ს შეთანხმებით იყო გათვალისწინებული შეწყვეტის წესი. შეთანხმებით ნებისმიერ მეიჯარე კრედიტორს ჰქონდა უფლება მოვალის მხრიდან იჯარის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში გაეგზავნა მოვალისთვის გადახდის გაფრთხილება დარღვევიდან 14 დღის განმავლობაში და თუ გაფრთხილების მიუხედავად ვალდებულება არ შესრულდებოდა, მოვალის მიერ კრედიტორის მეორე გაფრთხილების მიღებას ავტომატურად მოჰყვებოდა CVA-ს შეწყვეტა.

გ) მესამე პირების ჩართულობა - შესაძლებელია შეთანხმება მოიცავდეს მესამე პირებსაც, როგორც მხარეებს, თუმცა საკანონმდებლო დანაწესი მათ დაშვებაზე ან აკრძალვაზე არ არსებობს. მესამე პირი ან სქემას უერთდება, ან ნომინირებულ ზედამხედველთან დებს შეთანხმებას, მაგრამ ნომინირებულმა ზედამხედველმა უნდა უზრუნველყოს დადასტურება, რომ აღნიშნული მესამე პირი ეთანხმება CVA-ს პირობებს მანამ, სანამ კენჭი ეყრება. მესამე პირის მხრიდან ვალდებულების დარღვევამ არ უნდა გამოიწვიოს მოვალის გადაყვანა გაკოტრების პროცედურებში, თუმცა კარგი იქნება სქემა ისე აეწყოს, რომ მოვალე ვალდებული იყოს უზრუნველყოს მესამე პირებისგან შესრულების მიღება. ამ შემთხვევაში მოვალე იქნება მესამე პირის დარღვევაზე პასუხისმგებელი და შეიძლება მის წინააღმდეგ გაკოტრების მოთხოვნა;<sup>61</sup>

დ) შეთავაზებას უნდა ჰქონდეს მოქნილობა, რათა მომავალში მცირედ განსხვავებული გარემოებების გამო მოვალეს და ზედამხედველს არ მოუწიოს სასამართლოში წასვლა (variation provisions - ცვალებადობის ნორმა);<sup>62</sup>

ე) შეთავაზების უპირატესობაზე ხშირად ნათლად მიგვითითებს კრედიტორთა მიერ შეთავაზებით მისაღები თანხებისა და სხვა შემთხვევაში (რეაბილიტაციის, გაკოტრების) მისაღები თანხების შედარება. ამიტომ იდეალური იქნება თუ ეს შედარება ცხრილის სახით, რაც შეიძლება დეტალურად იქნება წარმოდგენილი. აღნიშნულისათვის, ამერიკული გადახდისუუნარობის ინსტიტუტი<sup>63</sup> გვთავაზობს საუკეთესო ინტერესის ტესტის ანალიზს.

**საუკეთესო ინტერესის ტესტის ანალიზი.** იმისათვის, რომ დამტკიცდეს რეორგანიზაციის გეგმა, გეგმის წარმდგენმა (როგორც წესი მოვალემ) უნდა აჩვენოს, რომ გეგმა ემსახურება კრედიტორთა საუკეთესო ინტერესებს. აშშ-ს გადახდისუუნარობის კოდექსის 1128(a)(7) პარაგრაფი მოითხოვს, რომ თითოეული კლასის კრედიტორები ა) უნდა ეთანხმებოდნენ გეგმას, ან ბ) გეგმის ძალაში შესვლის დღისათვის უნდა იღებდნენ არანაკლებ იმ ღირებულებას, რასაც მიიღებდნენ მოვალის გაკოტრებისა და ქონების კრედიტორთათვის განაწილების შემთხვევაში, იგივე თარიღით. სწორედ ამიტომ საუკეთესო ინტერესის ტესტის ანალიზი ფოკუსირებულია მოვალის ჰიპოთეტური გაკოტრების ანალიზზე, რომელიც დაიწყებოდა გეგმის ძალაში შესვლის დღეს. ამ ჰიპოთეტური გაკოტრების შედეგები შემდეგ დარდება გეგმით შემოთავაზებულ განაწილებასთან. თუ გეგმის მიხედვით მისაღები თანხები აჭარბებს ჰიპოთეტური გაკოტრებიდან ჰიპოთეტურად ამოღებულ თანხებს, მაშინ ითვლება, რომ გეგმა ემსახურება კრედიტორთა საუკეთესო

<sup>61</sup> Voluntary Arrangements, Edward Baily, LexisNexis Butterworths 2007. Pg.11-12

<sup>62</sup> Voluntary Arrangements, Edward Baily, LexisNexis Butterworths 2007. Pg.13-14

<sup>63</sup> Mark W. Hojnacki, Thomas A. Morrow, Timothy J. Kreatschman, A Simplified Approach to the Best-interests Test in Complex Bankruptcies, <https://www.abi.org/abi-journal/a-simplified-approach-to-the-best-interests-test-in-complex-bankruptcies>

ინტერესებს. სხვაგვარად რომ ითქვას, კრედიტორებს უკეთესი შედეგი ექნებათ გეგმის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ანალიტიკური ჩარჩო ამოსაღები თანხების შესაფასებლად. ეს ჩარჩო უნდა შედგებოდეს სამი ძირითადი ელემენტისგან: 1) მთლიანი ამოღებული თანხა (2) თანხის ამოღებასთან დაკავშირებული ხარჯები და 3) გასანაწილებელი წმინდა ამოღებული თანხები. სასურველია, რომ ანალიზი დალაგდეს ლოგიკური მიმდინარეობით, ძირითად ინფორმაციას დაერთოს დეტალური კალკულაციები სქემები, შენიშვნები და სქოლიოები.

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ანალიზში ნაჩვენები იყოს გაკოტრების სავარაუდო სცენარების განვითარება შესაბამისი დოკუმენტირებით. მთლიანი ანალიზის სანდოობა სწორედ ამ ვარაუდებს ემყარება. გაკოტრების მოსალოდნელი სცენარისთვის აუცილებელია არა მარტო კომპანიის ქონების სალიკვიდაციო ღირებულების დადგენა, არამედ ამ ღირებულებების მისაღწევად საჭირო დროის მონაკვეთისა და საჭირო აქტივობების განსაზღვრაც.

ვინაიდან ანალიზის მიზანია სავარაუდო ამოღებების (თანხის) გონივრული ფარგლების დადგენა, შემუშავებული უნდა იქნეს ლიკვიდაციის მინიმუმ ორი სცენარი, რათა დადგინდეს ამოღებული ღირებულების „მაღალი“ და „დაბალი“ შეფასება. უნდა მოხდეს ამოღების ფარგლების დადგენისას მიღებული მაღალი შემოსავლების შეფასების დაწყვილება მაღალ მოთხოვნების შეფასებასთან. ქონების შემოსავლის შეფასებიდან არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების შეფასებამდე დაბალი ამოღების ფარგლები მოიცავს ყველაზე დაბალი ღირებულებებს, მაღალი ამოღების ფარგლები მოიცავს დიდ ღირებულებებს.

მაღალი და დაბალი ფარგლების დადგენის ალტერნატიული მეთოდია ქონების რეალიზაციიდან მიღებული ყველაზე დაბალი შემოსავლებისა და მაღალი ხარჯებისა და მოთხოვნების დაწყვილება (ამოღების დაბალი მაჩვენებელი), და ქონების რეალიზაციიდან მიღებული ყველაზე მაღალი შემოსავლებისა და დაბალი ხარჯებისა და მოთხოვნების დაწყვილება (ამოღების მაღალი მაჩვენებელი). ეს ალტერნატიული მეთოდი საბოლოო ჯამში უფრო ვრცელ სურათს გვაძლევს.

ბალანსზე არსებული ქონებისგან მიღებული შემოსავლის გარდა, შესაძლოა საერთო მასაში თანხები მიღებულ იქნეს სასამართლო დავების მეშვეობით, არასაბალანსო აქტივის რეალიზაციით (მაგ. მომხმარებლების სიის) და გადახდისუუნარობის დაწყებამდე კრედიტორებისათვის უპირატესობის მინიჭების ქმედებების შეცილებით. უპირატესობის მინიჭების სამართალი არის უნიკალური, თუმცა წინააღმდეგობრივი ნორმა გადახდისუუნარობის სამართალში. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შეფასებული შეცილების პროცესებიდან მისაღები პოტენციური შემოსავლები. ხშირად ეს შეიძლება დაპირისპირების საგანი გახდეს რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებისას, ვინაიდან უპირატესობამინიჭებულმა კრედიტორებმა შესაძლოა მოითხოვონ დანარჩენი კრედიტორებისგან შეცილების უფლებაზე უარის თქმა, მათ მიერ გეგმის მხარდაჭერის სანაცვლოდ და ამიტომ ამგვარი სავარაუდო შემოსავლების ღირებულება საერთოდ ამოღებულ იქნას გეგმიდან. რა თქმა უნდა, თუ სავარაუდოდ ამოსაღები თანხები არის ძალიან მაღალი, მაშინ დანარჩენი კრედიტორები არ მოინდომებენ შეცილების უფლებაზე უარის თქმას.

გაკოტრების სცენარების შეფასებისას შემუშავებული ვარაუდები გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც საფუძველი მთლიანი ამოღების მიღწევასთან დაკავშირებული ხარჯების დეტალური შეფასების განსაზღვრისთვის. ჰიპოთეტური გაკოტრება შეიძლება ჩაშლილი იყოს სხვადასხვა ეტაპებად, როგორცაა ქონების რეალიზაციის ეტაპი, საწარმოს დახურვის ეტაპი და გაკოტრების დასრულების ეტაპი.



კრედიტორების დაყოფის მიზნით, ამგვარი დეტალური ანალიზი დირექტორს შესაძლებლობას მისცემს, დაანახოს კრედიტორებს რეალური სამომავლო სურათი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები შეუთანხმებლობის შემთხვევაში.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი

„მმართველობა განვითარებისათვის“

პროექტის განმახორციელებელი: „დელოიტ ქონსალტინგი“

მისამართი: თბილისი, 0162, ლ. მიქელაძის ქ. 5

ტელ.: +995 322 240115 / 16

ელ-ფოსტა: [info@g4g.ge](mailto:info@g4g.ge)